პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1920 — 1978
გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი 5 აპრილი 1978 წ. № 80 (17124) ფასი 2 კაპ.

საკავშირო მაგსატჭიდ

ხუთწლედის [illegible] წლის ორ თვეში [illegible] ოსტაველმა მეტალურგებმა [illegible] ათასი ტონა ფოლადი, 984 ტონა მილები. ამ ხნის [illegible] ვადა-ჭარბებით [illegible] 542 ათასი, მილების [illegible].

[illegible] საკავშირო სოციალისტური შრომითი ვახტაზე დგას. სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდშია მარტენის საამქროს ერთ-ერთი საუკეთესო მეფოლადე თ. ბარბაქაძე, რომელმაც ასი ათასობით ტონა ფოლადი გამოადნო, 50 მოწაფეს გაუზიარა თავისი გამოცდილება და ოსტატობა.

• • •

სურათზე: ქარხნის მეფოლადე თ. ბარბაქაძე.

მ. დათიკაშვილისა და ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საბჭოთა კავშირის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების V ყრილობას

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მოგესალმებათ საბჭოთა კავშირის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების V ყრილობის დელეგატებს და თქვენი სახით ყველა გამომგონებელსა და რაციონალიზატორს — მუშებს, კოლმეურნეებს, სპეციალისტებსა და მეცნიერებს, რომლებიც თავიანთი ნოვატორული შრომით ზრდიან ჩვენი დიდი სამშობლოს ძლიერებას.

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მასობრივი მოძრაობა საგულისხმო ნიშანია სოციალისტური საზოგადოებისა, სადაც შრომისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება, ადამიანის პირველი საარსებო მოთხოვნილება, ზნეობრივი ნორმა ხდება. სსრ კავშირის კონსტიტუციაა უზრუნველყოფს ტექნიკური შემოქმედების თავისუფლებას, მის ყოველმხრივ მხარდაჭერას. საბჭოთა სახელმწიფო ყოველნაირად ეხმარება გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს და ხელს უწყობს მათი წინადადებების დანერგვას სახალხო მეურნეობასა და ცხოვრების სხვა სფეროებში.

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების წევრთა რიცხვი გაორკეცდა და ახლა 9.6 მილიონს აღწევს. ორჯერ და მეტად გაიზარდა მათი ნაშუშევრებისა და წინადადებების წარმოებაში გამოყენების შედეგად მიღებული ეკონომიკური ეფექტიანობა.

პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ძალისხმევით, ფართო მხარდაჭერით გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს ღირსეული წვლილი შეაქვთ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, იმ ამოცანების შესრულებაში, რომლებიც დასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე და ეკონომიკის საკითხების გამო ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში. „1978 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილში. ხუთწლედის ორი წლის მანძილზე სახალხო მეურნეობაში გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა გამოყენების შედეგად 10 მილიარდ მანეთზე მეტი ეკონომია მიიღებული.

მშრომელთა მასობრივი ტექნიკური შემოქმედების განვითარება საზოგადოებრივი წარმოების სრულყოფის, მისი ტექნიკური დონისა და ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ბერკეტია. გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მოვალეობაა მთელი ძალები მოახმარონ რეზერვების უფრო სრულად გამოყენებას, ტექნიკის უკუგების გადიდებას, შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარებას, ხელის სამუშაოთა შემცირებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და თვითღირებულების შემცირებას. ლითონის, მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მომჭირნეობას, შრომის უკეთესი პირობების შექმნას, გარემოს დაცვას.

ინდუსტრიულ საფუძველზე სოფლის მეურნეობის გადასვლის პროცესში სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ თავი მოვუყაროთ გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა ძალებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ასამაღლებლად, შრომატევად სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის ამოცანების გადასაწყვეტად, წარმოებაში. ტრანსპორტირების, შენახვისა და გადამუშავების დროს პროდუქციისა და ნედლეულის დანაკარგების შესამცირებლად.

საბჭოთა კავშირის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოებამ უფრო სრულად უნდა გამოიყენოს თავისი დიდი შესაძლებლობანი. რათა ფართოდ ჩაებას მშრომელები, განსაკუთრებით ახალგაზრდობა. ნოვატორულ მოძრაობაში. გამომგონებლები და რაციონალიზატორები კი დაიუფლონ მეცნიერულ-ტექნიკურ და ეკონომიკურ ცოდნას. მოწინავე გამოცდილებას. ყოველმხრივი მხარდაჭერის ღირსია კომპლექსური ბრიგადები. საზოგადოებრივი საკონსტრუქტორო და საპატენტო ბიუროები, ნოვატორთა და რაციონალიზატორთა ბიუროები — ეს ფორმების კოლექტიური შემოქმედება. რომლებიც ერთიანებენ მუშებსა და კოლმეურნეებს. სპეციალისტებს. მეცნიერებს ტექნიკური პროგრესის კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ყრილობის დელეგატებს. საბჭოთა კავშირის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების ყველა წევრს უსურვებს დიდ წარმატებებს მუშაობაში. გამოთვლებს მტკიცე რწმენას, რომ ისინი კვლავაც განუხრელად და გამიზნულად იბრძოლებენ სამამულო მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესისათვის, ღირსეულ წვლილს შეიტანენ მეათე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებაში, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა ბაკის მშენებლებს

ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლ ბისათვის დღევანდელი დღე დიდი დღესასწაული იყო. ამურის ოლქში ბამის მახლობლად მდებარე სადგურ სკოვოროდინოში 4 აპრილს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევთან შეხვედრად ჩამოვიდა კომკავშირელთა — ბაიკალ-ამურის მაგისტრალის ცენტრალური შენებლობის მოწინავე მშენებლთა რაზმი. მათ შორის იყვნენ მშენებლობის პირველი მონაწილენი, ისინი, ვინც მაგისტრალზე სამუშაოდ პირდაპირ კომკავშირის XVII ყრილობიდან წავიდნენ. აქვე მოვიდა ახალგაზრდობაც, რომელიც მაგისტრალის მშენებლობაზე ჩამოვიდა.

გულთბილად და გულითადად შეხვდნენ ჭალიშვილები და ჭაბუკები ლეონიდ ილიას ძეს. პარტიის ამურის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანმა ს. ს. ალრამენკომ ამხანაგ ბრეჟნევს წარუდგინა ბაიკალ-ამურის მაგისტრალის საუკეთესო მშენები, მათ შორის მომავალი სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობისათვის არჩეული დელეგატები, კომპლექსური სამშენებლო ბრიგადის ხელმძღვანელი ვ. გ. ნოვიკი — მაგისტრალური პირველი სოციალისტური შრომის გმირი.

სრულიად საკავშირო ალკკ XVII ყრილობის სახელობის საკავშირო დამკვრელური კომკავშირული რაზმის კომისარმა ვ. გ. მუჩიკინმა, რომელიც პირველი ჩამოვიდა ბაიკალ-ამურის მაგისტრალის ტრასაზე, ლ. ი. ბრეჟნევს მოახსენა, თუ რა გააკეთეს მათ რკინიგზის ტრასის მშენებლობაზე, რომელიც ოლქის ტერიტორიაზე 1.600 კილომეტრზე გადაიჭიმება. მან თქვა, რომ კომკავშირულ-ახალგაზრდული რაზმები სწრაფი ტემპით შრომობენ, უპირველეს ყურადღებას უთმობენ სამშენებლო სამუშაოთა ხარისხს. ისინი ჩაბმული არიან შეჯიბრებაში, რათა ხუთწლედის სამი წლის დაკალება სსრ კავშირის კონსტიტუციის მიღების პირველი წლისთავისათვის შეასრულონ.

ახალგაზრდა მშენებელთა სახელით, განაგრძო ვ. გ. მუჩიკინმა, მინდა გადაგიხადოთ თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძე, შეიღლური მადლობა იმ მუდმივი ყურადღებისა და ზრუნვისათვის, რომ ჩვენ ტრასაზე გეკრძალეთ შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები. ეს არის ზრუნვა არა მარტო ჩვენს დღევანდელ შრომითს დღეებზე, არამედ ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მთელი ზონის მომავალზეც.

ბამელები კვლავაც იშრომებენ შემართებულ, კომკავშირულად, შეასრულებენ პარტიის დავალებას.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობაზე მომუშავე საბჭოთა არმიის ახალგაზრდა მებრძოლების სახელით მიესალმა სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობის დელეგატი ეფრეიტორი ვ. გ. ბაბულინი. მან თქვა, რომ რკინიგზის ჯარებში მყოფი ახალგაზრდა ჯარისკაცები განაგრძობენ მუშაობას ბამის მშენებლობაზე, თავიანთი წვლილი შეაქვთ სამშობლოს მშვიდობიან აღმშენებლობითს შრომაში.

თქვენი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეობა, განაგრძო მან, თქვენი უშუალო მონაწილეობა დიდ სამამულო ომში, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძეს, — ყოველივე ეს ჩვენთვის, მეომრებისათვის პარტიისადმი, სამშობლოსადმი, საბჭოთა შეიარაღებული ძალებისადმი თავდადებული სამსახურის დიდებული მაგალითია.

ახალგაზრდა მეომართა სახელით ვ. გ. ბაბულინმა მიულოცა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს „გამარჯვების“ ორდენით დაჯილდოება და ლეონიდ ილიას ძეს უსურვა დიდი წარმატებანი მის დაუცხრომელ მოღვაწეობაში მშვიდობის, მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

ბამელებმა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს გადასცეს ბაიკალ-ამურის მაგისტრალის ცენტრალური უბნის მშენებლების შრომითი საქმეების ალბომ-მატიანე.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა უდიდესი კმაყოფილება გამოთქვა ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლებთან შეხვედრის გამო და თქვა, რომ ბევრი იმათგანი, ვინც ამ შეხვედრაზე ჩამოვიდა, ახლა მუშაობს ადგილებში, სადაც ბაიკალ-ამურის მაგისტრალი უკვე პროექტი ადარ არის. აქ უკვე პირველი მატარებლები დადიან.

სხვა უბნებზე ჯერ კიდევ დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი. მაგისტრალის სიგრძე სამი ათას კილომეტრს გადააჭარბებს. იგი გაივლის ღრმად ტაიგაში, მარადიულ გაყინულობასა და კლდეებში.

თქვენ, ამხანაგებო, თქვა შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევმა, ადვილი ამოცანები როდი გაქვთ გადასაწყვეტი. და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამის უნარი შეგწევთ. თქვენ, ჭალიშვილებისა და ჭაბუკების ვბრძოლ კოლექტივებს, რომლებიც კომკავშირის მოწოდებით ამ დიდ მშენებლობაზე ჩამოხვედით.

პირველმკვლევართა შრომა მუდამ რთულია. მაგრამ იგი საინტერესო და საპატიოა. გუშინ თქვენ პირველმა დადგით ფეხი იქ, სადაც საუკუნოვან სიმშვიდეს დაესადგურებინა ტაიგაში, დღეს კი იქ უკვე არა მარტო მაგისტრალია გაყვანილი, არამედ საძირკველი ეყრება პირველ ქალაქებს, აშენდა ლაბი. თქვენ მოგაყვიანან მეცნიერები, გეოლოგები, არქიტექტორები, დამპროექტებლები, ინჟინრები.

გაივლის ცოტა ხანი, განაგრძო ლ. ი. ბრეჟნევმა, და ამ მხარეში ადამიანის შრომით შეიქმნება ახალი სამრეწველო კომპლექსები. ბაიკალ-ამურის მაგისტრალი დაკვეხმარება უფრო სრულად გამოვიყენოთ ამ რაიონის წიაღის უდიდესი სიმდიდრე, ახლებურად გადაწყვიტოთ საწარმოო ძალების განვითარების საკითხი. ეს დიდი სახელმწიფო მნიშვნელობის პროგრამაა.

აი რას წარმოადგენს, ამხანაგებო, თქვენი კეთილშობილური და უშუმარტავი თავდადებული შრომა. საბჭოთა ადამიანი ისეა აღზრდილი, რომ ყოველდღიურ მუშაობაში იგი არ ფიქრობს თავისი საქმეების სიდიადეზე. და თქვენ, ალბათ, ზოგჯერ არც კი უფიქრიდით, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს თქვენს შრომას საშობლოსათვის.

ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი დიდად ზრუნავს ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლებისათვის, ბევრ რამეს აკეთებს, რათა შეამსუბუქოს მშენებელთა შრომა და ყოფა-ცხოვრება. დღეს თქვენს გამოსვლებში ილაპარაკეთ ამის შესახებ, თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ბაიკალ-ამურის მაგისტრალზე ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ უფრო მეტია. პარტიას სწამს ახალგაზრდობისა. კომკავშირს ჩვენთვის არასოდეს არ უღალატია!

ახალ წარმატებებს გისურვებთ კეთილშობილურ შრომაში. ამ შეხვედრის შესახებ ვილაპარაკებთ კომკავშირის ყრილობაზე.

ახალგაზრდა მშენებლებმა მადლობა გადაუხადეს ლეონიდ ილიას ძეს გულთბილი, დამრიგებლური სიტყვებისათვის. ეს შეხვედრა, თქვეს მათ, დიდხანს ეხსომებათ იმათ, ვინც მას დაესწრო, იგი ბამელებს ახალ შრომითს საქმეებს შთაგონებს.

(საკდესი).

ფინელი სტუმრები მოსკოვში

საბჭოთა მთავრობის მოწვევით 4 აპრილს მოსკოვში ჩამოვიდა ფინეთის რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც პრემიერ-მინისტრი კ. სორსა მეთაურობს. დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა კავშირისა და ფინეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების 30 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმში.

აეროდრომზე დელეგაციას დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეები ნ. ვ. ტიხონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები, სსრ კავშირის მინისტრები, სხვა ოფიციალური პირნი.

საუზმის დროს, რომელშიც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, ა. ნ. კოსიგინმა და კ. სორსამ სიტყვები წარმოთქვეს. (საკდესი).

საუბარი კრემლში

4 აპრილს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო ფინეთის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც პრემიერ-მინისტრი კ. სორსა მეთაურობს. დელეგაცია საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირ-ფინეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების 30 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმში მონაწილეობისათვის.

საუბრის დროს, რომელშიც მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ვ. ზიმიანინი, განიხილეს საბჭოთა კავშირისა და ფინეთის თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხები.

ა. ნ. კოსიგინმა და კ. სორსამ აღნიშნეს, თუ რა წარუვალი მნიშვნელობა აქვს 1948 წლის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას, როგორც საპრეზიდიუმო დოკუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობის განუხრელ განვითარებას, და დაადასტურეს, რომ ორივე ქვეყანას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კვლავაც განავითარონ ურთიერთობაში პოლიტიკური გეზი, რომელიც განსაზღვრულია ხელშეკრულებით და მიზნად ისახავს ყველა დარგში საბჭოთა კავშირ-ფინეთის კავშირურთიერთობის შემდგომ გაფართოებასა და გაღრმავებას.

ორივე ქვეყნის მთავრობები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ იმ მორიგებათა რეალიზაციას, რომლებიც მიღწეულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევისა და ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის უ. კ. კეკონენის 1977 წლის მაისის მოლაპარაკების დროს.

მხარეებმა მაღალი შეფასება მისცეს საბჭოთა კავშირ-ფინეთის ეკონომიკური თანამშრომლობის მომდინარეობას, რომელიც წარმოების გრძელვადიან და დიდი მასშტაბის საფუძველზე. ამ მიმართულებით ახალი პერსპექტივები დასახა 1990 წლამდე სავაჭრო-ეკონომიკური, სამრეწველო და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარებისა და გაღრმავების გრძელვადიანმა პროგრამამ.

საუბარმა გულითადობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა. (საკდესი).

მოსკოვიდან — ჰელსინკში

4 აპრილს საბჭოთა კავშირ-ფინეთის მეგობრობისა, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების 30 წლისთავის დღესასწაულობაში მონაწილეობის მისაღებად საბჭოთა კავშირის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების ყრილობისადმი, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. ვ. კოსიგინმა, ამ საზოგადოების მოწვევით გაემგზავრა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს მეთაურობით.

აეროდრომზე დელეგაცია გაეცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს მეთაურობით.

აეროდრომზე დელეგაცია გაეცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

(საკდესი).

ყველანი ლენინურ შაბათოობაზე!

ერთსულოვნად...

ქუთაისი. (საკ. კორ.). გაიშალა ფართო მოსამზადებელი მუშაობა წითელი შაბათობისათვის სახლთსაშენებელ კომბინატში. აქ შეიმუშავეს კონკრეტული გეგმა შაბათობის დღეს სხვადასხვა სამუშაოს შესასრულებლად. 22 აპრილს შაბათობაში მონაწილეობას მიიღებს კომბინატის 400 მუშა-მოსამსახურე. უშუალოდ პროდუქციის შექმნაზე დასაქმებული იქნება 300 კაცი, რომლებიც გამოუშვებენ 20 ათასი მანეთის პროდუქციას. გარდა ამისა, შეიკეთებენ და წესრიგში მოიყვანენ საამქროთა კორპუსებს, 500 მეტრ სავალ გზას, დაირგვება ასობით ძირი სხვადასხვა მცენარე, გაიშენდება და კიდევ უფრო გამშვენიერდება საწარმოს ტერიტორია.

შაბათობის დღეს გამოშვებული თანხა მთლიანად გადაირიცხება ხუთწლედის ფონდში.

დ. გედენიძე.

ხუთწლედის ფონდში

ვ. ი. ლენინის დაბადების 108-ე წლისთავისადმი მიძღვნილ კომუნისტურ შაბათობაზე რესპუბლიკის გაერთიანება „საქფერნიელმრეწის“ სპეციალიზირებული სარემონტო სამშენებლო სამმართველოს (უფროსი ლ. კოხრეიძე) ყველა მუშა-მოსამსახურე გამოვა სამუშაოდ. წინასწარი გეგმით გათვალისწინებულია ამ დღეს წესრიგში მოიყვანონ გორის რაიონის მეჯვრისხევის, ხაშურის, საგარეჯოს და გარდაბნის რაიონის ნორიოს მეფრნეველეობების ფაბრიკების ზოგიერთი მოწყობილობა, დანადგარები.

შაბათობის დღეს შესრულდება 10 ათასი მანეთის სამუშაოები, ხოლო ხუთწლედის ფონდში 1.000 მანეთი გადაირიცხება.

ამასთან ერთად ფაბრიკის ტერიტორიის უფროო ეკეთილმოწყობილს გახდიან, დაირგვება სხვადასხვა ჯიშის მცენარეები.

(„კომუნისტის“ საკ. კორ.).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

მეცხოველეობას — მტკიცე საკვები ბაზა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „1978 წლს საკვების წარმოების, დამზადებისა და გამოყენების საქმეში პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ამოცანათა შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, სამეურნეობათშორისო გაერთიანებებმა, რომლებიც ასრულებენ სკკპ XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებებს, გარკვეული წარმატებანი მოიპოვეს მეცხოველეობის საკვებით უზრუნველყოფაში როგორც ზაფხულის სამოვრეულ, ისე ზამთრის პერიოდში.

1977 წ-ის საზოგადოებრიმა მეურნეობებმა გამოზამთრებისათვის დააგროვეს უმაგალითო რაოდენობის საკვები: 1.6 მილიონ ტონაზე მეტი უხეში, 702 ათასი ტონა წვნიანი საკვები, 22 ათასი ტონა ბალახის ფხვნილი. 168,5 ათასი ტონა მარცვლეულის ფურაჟი — მთლიანად 1,11 მილიონი ტონა საკვები ერთეული — 222,1 ათასი ტონით მეტი, ვიდრე 1976 წელს.

სოფლის მეურნეობის მშრომელები, რომლებმაც სამეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის გადაწყვეტილებანი საბრძოლო, გადაუდებელ ამოცანად აღიქვეს, იძიებენ ყველაზე ეფექტან გზებს, რათა მაქსიმალურად გადიდონ საკვების წარმოება, მისი დამზადება და რაციონალურად გამოიყენონ იგი.

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ ეს ამოცანა შეიძლება დაადაწყდეს საკვები სავარგულების სტრუქტურის გაუმჯობესების, საკვები კულტურების მოსავლიანობის გადიდების, ყოველ ჰექტარ სახნავზე, სადაც ეს შესაძლებელია, ორი მოსავლის მიღების, კულტურული სარწყავი საძოვრების შექმნის, ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების ზედაპირული და ძირეული გაუმჯობესების, საკვების წარმოების, დამზადების, დაკვა-შენახვისა და მომზადების ტექნოლოგიის გაუმჯობესების გზით.

მეცხოველეობაში წლის მთავარი ამოცანის — ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის წარმოებისა და დამზადების შემდგომი სტაბილური ზრდის ამოცანის გადაწყვეტისათვის საჭიროა შესრულდეს ყველა სახეობის საკვების დამზადების გეგმები და ვალდებულებები. მათ შორის ის გეგმები, რომლებიც რესპუბლიკაში წლიურწლობით ვერ სრულდება, მაგალითად, გასულ წელს სილოსისა და საკვები ძირხვენების დამზადების გეგმა შესრულდა 70 პროცენტით, ბალახის ფხვნილისა — 61 პროცენტით, ჭრაფულირებული და დაბრიკეტებული საკვებისა — 20 პროცენტით.

ამ სახეობათა საკვების სახელმწიფო დავალებების ჩაშლა იმის შედეგი იყო, რომ შესრულდა ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობა ადგილებზე, აგრეთვე იმისა, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები სათანადო ყურადღებას არ უთმობდნენ საკვები კულტურების ფხვი მოსავლიანობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა კომპლექსის მთლიანად განხორციელებას. ყოველივე შეუწყნარებელია, რომ რესპუბლიკაში სისტემატურად არ სრულდება სასილოსე კულტურების, მრავალწლოვანი და ერთწლოვანი ბალახების, საკვები ძირხვენების მოსავლიანობის დავალებანი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“ და მათი ადგილობრივი ორგანოები სათანადო ღონისძიებებს არ ახორციელებენ, რათა დროულად ამოქმედდეს საკვები საამქროები, რაც იმის შედეგია, რომ 1977 წელს აუთვისებელი დარჩა ამ ობიექტებისათვის გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა სამი მეოთხედი.

რესპუბლიკის საკვებწარმოებაში სერიოზული ნაკლია ის, რომ არ არსებობს მასობრივი კონტროლი საკვების ხარისხისადმი, რაც იწვევს მის გადახარჯვას და აბრკოლებს პირუტყვის ჯმეგის ორგანიზაციას მეცნიერულად შეწონასწორებული ულუფების მიხედვით.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათშორისო გაერთიანებების უმრავლესობაში ტყიდან არის მოწყობილი საკვების აღრეცხვა, დაცვა-შენახვა და გამოყენებისადმი კონტროლი, ზოგჯერ უშვებენ საკვების დამზადების გეგმის შესრულების შესახებ მონაცემების წამატებებს. მაგალითად, მარტო სოღნაღის რაიონის ოთხ მეურნეობაში უკანა წელს გამოვლინდა 2.200 ტონა სენაჟისა და 887 ტონა სალოსის დანაკლისი.

საკვებწარმოებისა და საკვების გამოყენების სფეროში არსებითი ნაკლოვანებანი მნიშვნელოვანწილად იმითაც არის განპირობებული, რომ რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“, „საქმთავარმელიორაციის“ მთავარ სამმართველოს, კვების მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროებს მოლიანად არ გარდაუქმნიათ თავიანთი მუშაობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის მოთხოვნილების სულისკვეთებით.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რა ყველა სახეობის საკვების დამზადების გეგმებისა და დავალებების უოუო შესრულებას, როგორც ერთეული ეკონომიკის მეცხოველეობის ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების გადამწყვეტ თაქტორს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ თავიანთი დადგენილებით არასაკმარისად ცნეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ასპინძის, ლუშეთის, თიანეთის, ზესტაფონის, ქაგერის რაიონებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის მეცხოველეობის საკვების წარმოების, დამზადების, მომზადების, გამოყენების დარაში და მოსთხოვეს ამაღლონ აპარატის შესაბამისი ქვეგანაყოფებისა და ადგილობრივი ორგანოების პასუხისმგებლობა ამ ოპერატიულობა ამ დადგენილებაში აღნიშნული ყველა ნაკლის აღმოფხვრის და 1978 წელს საკვების დამზადების სეზონის სანიმუშოდ ჩატარების სამუშაოში.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, პარტიულ კომიტეტებს. პირველადს პარტიული ორგანიზაციებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სამეურნეობათშორისო გაერთიანებებს წინადადება მიეცათ 1978 წელს საკვებწარმოებაში მთავარ ამოცანად მიიჩნიონ, რომ რესპუბლიკაში დაგროვდეს 1,06 მილიონი ტონა საკვები ერთეული და საზოგადოებრივი მეცხოველეობა უზრუნველყოფილი იყოს საკუთარი წარმოების საკვებით ერთ პირობით სულ პირუტყვზე 16 ცენტნერი საკვები ერთეულის ოდენობით გამოზამთრების პერიოდში (1978 წლის 15 ოქტომბრიდან 1979 წლის 15 მაისის ჩათვლით.).

(დასასრული მე-2 გვ.).

ნოვატორთა დიდი საბჭო

4 აპრილს კრემლის დიდ სასახლეში საბჭოთა კავშირის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების მეხუთე ყრილობაზე დაასწოლეთ 1400 დელეგატი მეკრიბა. ყრილობა შეაჯამებს განვლილი მუშაობის შედეგებს, დასახავს მუშაობის პროგრამას უახლოესი წლებისათვის.

ყრილობის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, ი. პ. რიაბოვი, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ა. ტიხონოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. კ. ბაიბაკოვი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ა. ი. შაბაევი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ნ. პასტუხოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, თვალსაჩინო მეცნიერები, წარმოების მოწინავენი.

ყრილობის მონაწილეებმა საპატიო პრეზიდიუმში ერთსულოვნად აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმებას საბჭოთა კავშირის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების ყრილობისადმი, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. ვ. კოსიგინმა, ამ საზოგადოების მოწვევით გაემგზავრა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკოს მეთაურობით. ტრანსპორტირების, შენახვისა და გადამუშავების დროს პროდუქციისა და ნედლეულის დანაკარგების შესამცირებლად.

საბჭოთა კავშირის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოებამ უფრო სრულად უნდა გამოიყენოს თავისი დიდი შესაძლებლობანი. რათა ფართოდ ჩაებას მშრომელები, განსაკუთრებით ახალგაზრდობა. ნოვატორულ მოძრაობაში. გამომგონებლები და რაციონალიზატორები კი დაიუფლონ მეცნიერულ-ტექნიკურ და

როცა კომპლექსურად ვწყვეტთ

ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა დარგში ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა მიმდინარე ხუთწლედის დამდეგიდან გარკვეული წარმატებები მოიპოვეს. მეტი წილი ქარხნებისა და ფაბრიკების, მშენებლობების კოლექტივებმა დაძლიეს წინათ დაშვებული ჩამორჩენა, მკვეთრად შეიმცირეს იმ ხაარჯროების, უბნებისა და ბრიგადების რიცხვი, რომლებიც თავს ვერ ართმევენ დავალებებს. ყველგან ფართოვდება შეჯიბრება ხუთწლედის მესამე წლის პროგრამის ვადამდე შესრულებისათვის. წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ხარისხობრივი მაჩვენებლები მეტად ტევადი ცნებაა. ამაში შედის ბევრი საწარმოო-ეკონომიკური და მორალური ფაქტორი. ეს არის წარმოების ორგანიზაციაც, შრომითი პროცესის ზუსტი რიტმი, კარგი პროდუქციის გამოშვებაც. ეს არის ნედლეულის, მასალების — ყოველივე იმის ყირათიანი ხარჯვაც, რაც ჩვენ გვაქვს, რასაც სახალხო მეურნეობა აწარმოებს. მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა უსწრაფესი გამოყენება. და, რა თქმა უნდა, ამაში შედის შრომის, ტექნოლოგიური, საგეგმო დისციპლინის განუხრელი დაცვა, ურთიერთმომთხოვნელობისა და შრომაში ამხანაგური დახმარების ვითარება.

ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის ბრძოლა ჩვენში განსაკუთრებით გაეკიდოდა მას შემდეგ, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ცნობილი დადგენილება „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“. პრინციპულად ახალი იყო ხარისხის ამაღლების ცალკეული. დაქსაქსული ღონისძიებებიდან იმ ღონისძიებათა ურთიერთდაკავშირებულ და მიზანმიმართულ კომპლექსზე გადასვლა, რომლებიც დღენადაგ ხორციელდება. დავიწყეთ სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში, ყველა უბანზე დისციპლინის განმტკიცებით.

ჩვენ დავრწმუნდით, რომ იმ კოლექტივებში, სადაც ურთიერთმომთხოვნელობა იქნება, აუცილებლად იზრდება თითოეულის პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის. აი, მაგალითად, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა. ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ეს ქარხანა ვერ ასრულებდა საწარმოო პროგრამას, ოღებდა ბევრ რეკლამაციას თავის პროდუქციაზე. პარტიული აქტივის კრებაზე, როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიხედვით პარტორგანიზაციის ამოცანებს განიხილავდნენ, კომუნისტებმა ლაპარაკი დაიწყეს შრომის დისციპლინის განმტკიცებაზე. მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებაზე. დასახეს მთელი რიგი ღონისძიებანი. ქარხანაში, საამქროებში შექმნეს მუშური ღირსების საბჭოები, რომლებიც ყოველკვირეულად განიხილავენ დისციპლინის მდგომარეობის საკითხებს. დამრღვევები, ისინი, ვინც შეელახა კოლექტივის ღირსება, პასუხს აგებენ თავიანთი ამხანაგების წინაშე.

შედეგები სასიხარულო აღმოჩნდა, ახლა რუსთავის მეტალურგიული ქარხანა ქვეყნის მეტალურგიას შეჯიბრების მეწინავე ადგა. დაჩქარდებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

კიდევ უფრო ვითარდება მუშაობა ყველა რგოლში ორგანიზებულობის ამაღლებისათვის. მაგალითად, შემოღებულია სტატისტიკური ანგარიშგება მრეწველობაში შრომის. საგეგმო. საფინანსო. სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვის შესახებ. ასევეა ანგარიშგება ინერგება სოფლის მეურნეობასა და კაპიტალურ მშენებლობაში. ამ მონაცემებს ოვალისწინებენ რესპუბლიკის სამინისტროების. უწყებების მუშაობის შედეგების შეჯამების დროსაც.

ფართოდ გავრცელდა ხარისხის მართვის ლენოური გამოცდილება. ერთ წელიწადზე მეტია რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან მუშაობს კომისია, რომელიც დღენადაგ ადევნებს თვალყურს იმას, თუ როგორ იყენებენ ამ გამოცდილებას ადგილებზე. კომისიამ შეისწავლა თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და ბათუმის მთელი რიგი პარტორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკა პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის. ქუთაისის სადატომობილო და დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნების ბაზაზე შეიქმნა მოწინავე გამოცდილების სკოლები. სადაც მომზადებას გადიან სხვა საწარმოთა კადრები.

პარტიული კომიტეტები თვალყურს ადევნებენ იმას, რომ განუხრელად იყენებდნენ იმ საქმოლის გამოშვებისათვის შესაბამის ეკონომიკურ სანქციებს, რომელიც არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. გასული წლის განმავლობაში და მიმდინარე წლის ორი თვის მანძილზე მარტო სახსტანდარტის რესპუბლიკური სამმართველოს მითითებით გეგმების შესრულების შესახებ საანგარიშო მონაცემებიდან ამოღებულია 4,5 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია. რომელიც ტექნიკურ პირობებს არ შეესაბამება. სახზედამხედველობის მასალებით დასკვნა არიან მთელი რიგი საწარმოების ხელმძღვანელები. რომლებმაც დაარღვიეს წარმოების ტექნოლოგია.

ნაწარმის ხარისხს საოჯახეული ეურება უკვე მისი დაპროექტების, შემუშავების პროცესში. პარტორგანიზაციები ცდილობენ კონსტრუქტორთა და ტექნოლოგთა შემოქმედებითი აზრი წარმართონ საინჟინრო მანქანა-მექანიზმებისა და გამძლე საკონლის შექმნისათვის. ახლა უფრო ხშირად განიხილავენ საინჟინრო შრომის აქტუალურ საკითხებს. ახორციელებენ ღონისძიებებს. რათა სპეციალისტები ნაკლებ დროს ანდომებდნენ სხვადასხვა საკანცელარიო ფუნქციის შესრულებას. ფართოდ სარგებლობდნენ ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკით.

პარტიულ კრებებზე, ბიუროებისა და პარტკომების სხდომებზე რეგულარულად ისმენენ ახლა სამეურნეო ხელმძღვანელთა ანგარიშებს იმის შესახებ. თუ რა გაკეთდა პროდუქციის ხარისხის გასუმჯობესებლად. ასეთი განხილვა. თუ იგი კარგად არის მომზადებული. ამაღლებს კადრების პერსონალურ პასუხისმგებლობას, დადებითს გავლენას ახდენს მთელ მუშაობაზე. ხარისხისათვის ბრძოლაში დიდი როლი განეკუთვნებათ ადმინისტრაციულ საქმიანობის საკონტროლო კომისიებს. ისინი პრაქტიკულად შექმნილია ყველა საწარმოში. მნიშვნელოვნად გაიზარდა მათი აქტიურობა. უფრო მრავალფეროვანი გახდა მუშაობის ფორმები და მეთოდები.

პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს საწარმოებს. ობრიგადებ შორის საქმიანი კაუშორეობის განმტკიცებას. თუ. მაგალითად. მეტალურგები იძლევიან არასტანდარტულ ფოლადს ან ნაგლინს. ეს დაუყოვნებლივ ახდენს გავლენას მანქანათმშენებელთა მუშაობაზე. აი რატომ არის საჭირო, რომ უზრუნველყოთ შრომითი კოლექტივების, სხვადასხვა საწარმოსა და უწყების პარტორგანიზაციათა შეთანხმებული მოქმედება.

ადგილობრივი პარტიული, სამეურნეო ორგანოებისა და საკავშირო სამინისტროების ერთობლივი ღონისძიებანი გვეხმარება დამატებითი რეზერვების გამონახვაში. მაგალითად, სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროსთან ერთად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა და დაამტკიცა რესპუბლიკაში მშენებლობის მოცულობათა გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების კომპლექსური ღონისძიებანი.

ორგანიზაციული და პოლიტიკური ღონისძიებების კომპლექსის თანამიმდევრულმა განხორციელებამ საშუალება მოგვცა მიგვეღწია დადებითი ძვრებისათვის ეკონომიკის განმტკიცებაში. აი ზოგიერთი მაჩვენებელი. ხუთწლედის განვლილი ორი წლის მანძილზე პროდუქციის მოცულობა თითქმის 12 პროცენტით გაიზარდა. იმ კოლექტივების რიცხვი, რომლებიც ვერ ასრულებდნენ დავალებებს. ექვსჯერ შემცირდა. საიუბილეო წელი რესპუბლიკის ძირითადად ყველა ინდუსტრიულმა ქალაქმა და 57 რაიონმა ისე დაამთავრა, რომ არ ჰყოლიათ ჩამორჩენილი საწარმოები. ახლა ჩვენში საწარმოთა მხოლოდ 1,5 პროცენტი ვერ ართმევს თავს პროგრამის შესრულებას. წარმოების სიერთო მოცულობაში ერთისამად გაიზარდა იმ პროდუქციის ხვედრითი წონა, რომელსაც მინიჭებული აქვს საპატიო ხუთკუთხედი. თითქმის სანახევროდ შემცირდა მომიჯნავეებისაგან. ჩვენი პროდუქციის მომხმარებლებისაგან მიღებული პრეტენზიები.

ჩვენ ჯეროვნად ფიფასებთ მიღწეულ შედეგებს. მაგრამ ამასთანავე მიგვაჩნია. რომ ბევრი პარტიული. საბჭოთა ორგანოს საქმიანობა, ჩვენი სამეურნეო მექანიზმის ფუნქციონირება ჯერ კიდევ სულაც არ არის სრულყოფილი. და ეს ბევრად აფერხებს წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებას საერთოდ.

დიდ შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის არაერთი კატეგორიული მოთხოვნის მიუხედავად, ჯერ კიდევ ვხვდებით საგეგმო დავალებათა კორექტირების, შემცირების მანკიერ პრაქტიკას. ეს სრულიადაც არ უწყობს ხელს მეურნეობის გეგმიან ძაღლოლას, უარყოფითს გავლენას ახდენს ეკონომიკის ზრდის ტემპზე. ხორციელდება ღონისძიებანი გადავილებული გეგმების მოყვარულთა წინააღმდეგ. ვიღვწით მეათე ხუთწლედის პროგრამასთან ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების სრული შეწონასწორებისათვის. მაგრამ აქ ვერაფერს გავხდებით თუ საკავშირო ორგანოები არ დაგვეხმარნენ. უპირველეს ყოვლისა ისევ და ისევ ლაპარაკია დიდი ხანია მოგწიფებულ პრობლემაზე — დარგობრივი და ტერიტორიული დაგეგმვის ოპტიმალურ შეხამებაზე.

ჯერ კიდევ მიღწეული არ არის შრომის ნაყოფიერების ზრდის საკირო ტემპი. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის. რომ დამაკმაყოფილებლად ვერ ვიყენებთ ძირითად საწარმო ფონდებსა და სიმძლავრეებს. მაგალითად მეცხრე ხუთწლედის დამლევს ძირითადი ფონდების ერთი მანეთიდან მიღებული იყო 10.2 პროცენტით ნაკლები პროდუქცია, ვიდრე წინა ხუთწლედის დამლევს.

კვლავ ფრიად აქტუალურია სოფლის მეურნეობაში ხარისხის პრობლემა. ჯერ კიდევ შემუშავებული და ამოქმედებული არ არის ხასოფლო-სამეურნეო სამოშაოების რესპუბლიკური და შიდასამეურნეო სტანდარტები. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხშირად ვხვდებით ნათესების დიდ სიმეჩხრეს. ყველგან ვერ იცავენ ნიადაგის დამუშავების. სასუქების შეტანის. ყინვისა და ბუნების სხვა ჭირვეულობისაგან მცენარეთა დაცვის საუკეთესო ვადებს.

მარცვლეულის. საკვები და ტექნიკური კულტურების. რძისა და ხორცის ხარისხის ამაღლებას მეტად მცირე ყურადღებას უთმობენ ხასოფლო-სამეურნეო მიმართულების სამეცნიერო ინსტიტუტები.

ამასთანავე ერთგვარი გამოცდილება ამ თვალსაზრისით უკვე გვაქვს. ქვეყნის ბევრ რესპუბლიკაში, ოლქებში შექმნილია და ნაყოფიერად მუშაობენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის კომპლექსური მართვის კომისიები. მაგრამ ბევრი არ იცნობს ამ გამოცდილებას სუსტი ინფორმაციის გამო.

ერთი სიტყვით, გამოუყენებელი რეზერვები, რომლებიც შეიძლება და უნდა ჩავაყენოთ კიდევ ხუთწლედის სამსახურში, ბევრია. ამაზე მიგვითითებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიც. საქართველოს კომუნისტებს, ყველა მშრომელს. რომლებმაც განუხრელი შესრულებისათვის მიიღეს ისინი, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი არათუ მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შეასრულონ ხუთწლედის მესამე წლისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი, წარმატებით განახორციელონ სკკპ XXV ყრილობის წინასწარდასახული ამოცანები.

გ. კოლგინი,

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

„პრავდა“, 4 IV/78 წ.

მეცხოველეობაში — მტკიცე საკვების ბაზა

(დასასრული).

ბოლო უნდა მოეღოს მანკიერ პრაქტიკას, როცა ჯეროვნად არ აფასებენ სილოსს, საკვებ ძირხვნებსა და ბალახის თხრილის პირობებს. საკვებ ულუფაში. წელს უნდა შესრულდეს ავრეთვე ის დავალებანი. რომლებითაც ვალდებულნაკრებმიდის დამატებით სილოსის, ლორსისთვის კომბინირებული სილოსის, რძემაძალის დედოს დამატებით ნამჯისა და სიმინდის ღეროს სილოსის ჩაფიტა. აქტიური ვენტილაციის მეთოდით თივის ბოლომდე გაშრობა. ოხრში საკვების ყრანლილირება და დაბრიკეტება. მთლიანად უნდა მოითმინოს ყვავილ სპთიბად ვარგისი ნაკვეთები. მათ შორის სამმალაქიანი ალიაციის ბალოროდმეების ტერიტორიები. ოზრუნველეყოთ სახელმწიფოსათვის ძირითადად პირველი და მეორე კლასის ბალახის თხრილის მიღება. ეგრეთვე ბალახის ბალახის ნარევი. ეგრეთვე ბალახ-ბოლოტები და ახალგაზრდობა მტკიცე საკვები ბაზის შექმნაში, უფრო ფართოდ გაშალოს კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადების, რგოლების, საკვების დამზადებაზე დასაჭმეული ყველა ქალაქისა და ჭაბუკის სოციალისტური შეჯიბრება; შეიმუშაოს და განახორციელოს მტკიცე საკვები ბაზის შექმნის რეზერვებისა და შესაძლებლობების გამოძებნისა და მაქსიმალური გამოყენების დამატებითი ღონისძიებანი, მოაწყოს მასობრივი შაბათობანი, კვირაობები და დეკადები, მუშა და მოსწავლე ახალგაზრდობის დაკვრილური შრომის ერთთვიურება.

რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს რეკომენდაცია ეძლევათ აქტიურად გაუშუქონ საკვების დამზადებისათვის სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა, პროპაგანდა გაუწიონ მოწინავეთა გამოცდილებას, გამოავლინონ ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის ნაკლოვანებანი. (ხაქინფორმი).

დემოკრატიულობის მკაფიო გაფოხატულება

საბჭოთა საქართველოს ეკონომიკური სისტემა

საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტი თავისებურად ნებს ქართველი ხალხის უდიდესი მიღწევების დაკანონებას, რომლებიც მოპოვებულია მათი თავგანწირული შრომით. ამ დიდი მნიშვნელობის დოკუმენტის განხილვაში მონაწილეობენ მშრომელები, ინტელიგენცია, მოსწავლეები, შემოქმედ მეტად საინტერესო იდეები, წინადადებები, დამატებები და დაზუსტებები. კონსტიტუციის საერთო-სახალხო განხილვა საბჭოთა წყობილების დემოკრატიულობის მკაფიო გამოხატულებაა.

ჩვენი რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტში მემკვიდრეობითაა მიღებული წინამორბედი კონსტიტუციების იდეები და პრინციპები. ამასთან ერთად სრული დამაჯერებლობით არის ასახული ის ცვლილებები, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში მოხდა ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის მიღებიდან დღემდე, განვითარებული სოციალიზმის აშენებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტი ბევრ სიახლეს შეიცავს. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია 2-10 მუხლი, რომელიც ეხება ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკური საფუძვლის განსაზღვრას და სადაც ვკითხულობთ: „საქართველოს სსრ ეკონომიკური სისტემის საფუძველს შეადგენს წარმოების საშუალებათა სოციალისტური საკუთრება სახელმწიფო (საერთო-სახალხო) და საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების ფორმით“..

კონსტიტუციის პროექტის მთავარი თავისებურებაა მისი დემოკრატიულობა. შრომელთა სოციალური აქტიურობის ყოველმხრივი გაფართოების ბაზაზე. ამიტომ ეხი ასე წაიკითხება „სახელმწიფო საკუთრება, როგორც მთელი საბჭოთა ხალხის საერთო კუთვნილება“... შემდეგ როგორც ტექსტშია.

მეორე აბზაცში კი სწორად არ არის ნახმარი გამოთქმები „წიალიდ“, ანდა ოყოს „წიალითიერ“, რადგან საკუთრების თვალსაზრისით საინტერესოა არა საერთოდ წიალი, არამედ სიმდიდრე, ე. ი. წიალისეული. ასევე „წყალი“. საინტერესოა არა წყალი საერთოდ, არამედ „წყლები“, რომლებსაც სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. ასევე ნახმარია „ტყე“ უმჯობესია გვეხმარა „ტყის მასივები“ ან „ტყეები“. ეზუსტი ვერ არის გამოთქმა: „ძირითადი საშუალებანი“. უმჯობესია ეწეროს საწარმოო საშუალებანი, როგორც ეს მე-10 მუხლში არის მითითებული, რადგან გარდა ძირითადი საშუალებებისა სახელმწიფოს ეკუთვნის სახელმწიფო საწარმოთა საბრუნავი საშუალებანიც. იქვე ჩაწერილია „ტრანსპორტის“ და „კავშირგაბმულობის საშუალებანი“. როდესაც ჩვენ ელაპარაკობთ „ტრანსპორტის საშუალება“, აქ იგულისხმება ტრანსპორტის ტექნიკური საშუალება: ავტობუსი, მატარებელი, გემი და სხვა. ასევე კავშირგაბმულობის საშუალებებია ტელეფონი, ტელეგრაფი, და სხვა. ყველაფერი ეს საწარმოო საშუალებების მხოლოდ ერთი ნაწილია, სახელმწიფოს კი ეკუთვნის ყველა სახის საშუალებანი: შენობები, ნაგებობანი (მაგ., რკინიგზის ვაგზალი, ლიანდაგები და სხვ.), რაც ტრანსპორტის საშუალება კი არა, ტრანსპორტის ძირითადი ფონდებია და სხვ. ამიტომ მე-11 მუხლი სათანადო დაზუსტების შემდეგ უმჯობესია ჩაიწეროს ასეთი რედაქციით:

„სახელმწიფო საკუთრება, როგორც მთელი საბჭოთა ხალხის საერთო კუთვნილება, სოციალისტური საკუთრების ძირითადი ფორმაა.

გამონაკლისის გარეშე სახელმწიფო საკუთრებას შეადგენს: მიწა, მისი წიაღისეული, წყლები, ტყეები. სახელმწიფოს ეკუთვნის სახალხო მეურნეობის დარგების საწარმოთა და გაერთიანებათა წარმოების საშუალებანი (საკოლმეურნეო სექტორის გარდა), ეგრეთვე სათიანასო და საკრედიტო დაწესებულებათა, სახელმწიფო საკავშირო, კომუნალური მეურნეობისა და სხვა უწყებათა წარმოება-დაწესებულებების ქონება, სახელმწიფო საკუთრების სპეციალური ფონდი და სხვა დარგების ისეთი ქონება, რომელიც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანების შესრულებისათვის არის საჭირო“.

დ. ძნელაძე,

პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მართვის საფუძვლებისა და სამრეწველო საწარმოთა ეკონომიკისა და ორგანიზაციის კათედრის გამგე. ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი.

ვანვიხილავთ საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტს

ძირითად კანონშიც აისახოს

საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტში ნათლად არის ასახული ის მიღწევები, ის ძვრები, რომლებიც მოხდა მოქმედი კონსტიტუციის შემდეგ. ეს არის განვითარებული სოციალისტური რესპუბლიკის ძირითადი კანონი, რომელიც შემუშავებულია ჩვენი დიდი სამშობლოს — სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის შესაბამისად, წინათ მოქმედი კონსტიტუციების მემკვიდრეობითობის დაცვით, ამასთან გათვალისწინებულია რესპუბლიკის განვითარების თავისებურებანი.

ამიტომაც არის, რომ კონსტიტუციის ახალმა პროექტმა მშრომელთა საერთო ინტერესი გამოიწვია. კონსტიტუციის პროექტის ყველა კარი, მშრომელებისათვის ზრუნვის გამოვლინებით არის შედგენილი.

ჩვენს რესპუბლიკაში ამ ბოლო წლებში დიდი მუშაობაა გაწეული ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის საქმეში და ეს ბრძოლა კვლავ გრძელდება, ეს კი გარკვეული ისტორიული ეტაპია ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციისათვის, მთელი ბრალისათვის, ხალხისათვის: ამიტომ კარგი იქნება რესპუბლიკის ეს თავისებურება აისახოს ძირითად კანონში, სადაც ლაპარაკია მოქალაქეთა ძირითად უფლებათა და მოვალეობათა შესახებ, სახელდობრ, 63-ე მუხლში ჩამატების შემდეგი სიტყვები: „ბრძოლა ნეგატიურ მოვლენათა წინააღმდეგ. და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად „საქართველოს სსრ მოქალაქე მოვალეა პატივს სცემდეს სხვა პირთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, შეურიგებელი იყოს ანტისაზოგადოებრივი საქციელისადმი. გაბედულად იბრძოდეს ნეგატიურ მოვლენათა წინააღმდეგ, ყოველნაირად უწყობდეს ხელს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას“.

კ. გაბუნია,

საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის რეფერენტი.

სოციალისტური დემოკრატიის ძალა

დრო სულ ახალ-ახალ ამოცანებს გვისახავს. ახლახან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმს ვესწრებოდი და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ყველამ ერთსულოვნად მოვიწონეთ. და აი კიდევ დიდმნიშვნელოვანი მოვლენა — საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელიც გამორანილია ხალხის განსახილველად.

სწორედ ეს არის ჩვენი, სოციალისტური დემოკრატიის დიდი ძალა და ზეგავლენა მასებზე, შრომის ადამიანებზე. დღეს ყველა ხედავს, რა გულისხმიერია სახელმწიფოთ თავისი მოქალაქისადმი, როგორ დაინტერესებულია იგი მისი ყოველმხრივი განვითარებით.

ამის მაგალითია, თუნდაც ჩვენი სოფელი — ხაბუმე, რომელიც კარგ კეთილმოწყობილ სოფლად იქცა. აქ არის ყველა პირობა შრომისა და ცხოვრებისათვის და ეს პირობები შექმნა ჩვენმა მშობელიურმა საბჭოთა ხელისუფლებამ ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით.

ახალი კონსტიტუციის პროექტი ერთსულოვან გამოხმაურებას იწვევს, მხარს ვუჭერთ მას!

ი. ფენგელია,

ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ლენინის ორდენის კავალერი.

საჭიროა დაგუსტდეს

ვიწონებ და ეეთანხმები საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტს... ამასთანავე მაქვს ზოგიერთი შენიშვნაც.

47-ე მუხლის მეორე აბზაცში ეკითხულობთ: „თანამდებობის პირნი მოვალენი არიან დადგენილ ვადაში განიხილონ მოქალაქეთა წინადადებანი და განცხადებანი, გასცენ მათ პასუხი და მიიღონ საჭირო ზომები“. ჩემი აზრით, უკეთესი იქნებოდა წინადადებაში დაემატოს სიტყვა „კანონიერი“ და ტექსტის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „გასცენ მათ კანონიერი პასუხი და მიიღონ საჭირო ზომები“.

85-ე მუხლში ეკითხულობთ: „სახალხო დეპუტატთა საბჭოები ქმნიან ორგანოებს სახალხო კონტროლისა“... ჩემი აზრით, ეს წინადადება უნდა ჩამოყალიბდეს ასე: „სახალხო დეპუტატთა საბჭოები ქმნიან სახალხო კონტროლის ორგანოებს“... და შემდეგ როგორც ტექსტშია.

97-ე მუხლის მეორე აბზაცში ეკითხულობთ: „საქართველოს სსრ მოქალაქე, როგორც წესი, არ შეიძლება არჩეულ იქნეს ორზე მეტ სახალხო დეპუტატთა საბჭოში“.

ჩემი აზრით, ამ წინადადებას უნდა დაემატოს სიტყვა „ერთდროულად“ და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „საქართველოს სსრ მოქალაქე, როგორც წესი, არ შეიძლება ერთდროულად არჩეულ იქნეს ორზე მეტ სახალხო დეპუტატთა საბჭოში“.

რ. გრიგალაშვილი,

მილიციის კაპიტანი.

დიდი სიხარული

ჩვენში, თითოეული მეშახტის გულში ჯერ კიდევ ის დიდი სიხარულია დასადგურებული, რომელიც გამოიწვია დიდი ქარტიის — სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებამ და განხილვამ, კონსტიტუციის მიღებამ. ეს სიხარული გაორკეცა ჩვენი რესპუბლიკის ძირითადი კანონის — საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებამ.

სსრ კავშირის კონსტიტუციაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ თითოეული მოქალაქე რესპუბლიკა სუვერენული სახელმწიფოა. ამ უფლების განსახიერებაა ჩვენი რესპუბლიკის ყოველდღიური ცხოვრება, შისი ახალი ქარტია.

ახალი კონსტიტუციის პროექტს დიდი სიხარულით გავეცანი, ვიწონებ მის თითოეულ დებულებას. კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებას ჩვენი ბრიგადა მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვდა. წლის დასაწყისიდან 5.500 ტონაზე მეტი ქვანახშირი ამოვიღეთ, დავალება 148 პროცენტით შევასრულეთ. თავდადებით მუშაობენ ბრიგადის წევრები რაჟდენ ჭელიძე, გრუზიკო გიორგობაანი, შოთა მაცაბერიძე და ჯუტუ კლდიაშვილი.

ნ. ბუაძე,

ქ. ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის მეშვიდე უბნის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი.

გუნეგის დაცვა ყველას საქმეა

ნაირფეროვანია საქართველოს ბუნება. მის მთა-ბარში 4.100-ზე მეტი დასახელების მცენარე ხარობს. სსრ კავშირში გავრცელებულ 700 სახეობის ფრინველებიდან თითქმის ნახევარი ჩვენი რესპუბლიკის ბინადარია, ფაუნა კი 100-მდე ძუძუმწოვარს ითვლის.

საქართველოში 2.707 ათასამდე ჰექტარი ტყე და 480 კვადრატულ კილომეტრზე მეტი მყინვარია. ისინი კვებავენ წყალუხვ მდინარეებს და ტბებს. წყაროებსა და ნაკადულებს 2.000-მდე მინერალური წყლებს. მდინარეების ჭამური ჰიდროენერგორესურსებით საქართველო მესამე ადგილზეა მოკავშირე რესპუბლიკათა შორის.

მრავალმხრივია საქართველოს კლიმატი, მისი ნიადაგი, წიაღისეული სიმდიდრე. ვინ მოთვლის ყველა სიკეთეს, რითაც შემკულია ჩვენი მთა-ბარი.

ბუნების ნაბოძებ ამ სიმდიდრეს მოიქცა და გათრთხილება უნდა, მით უმეტეს, როდესაც ტექნიკურ რევოლუციას იერიში მიაქვს მასზე.

ოცი წელია საქართველოში მოქმედებს სპეციალური კანონი ბუნების დაცვის შესახებ, მაგრამ ჯერ კიდევ ყველგან როდია საქმე მოგვარებული. საქართველოში ქარსმიერი და წყლისმიერი ეროზიის შედეგად გადათხეკილია ნაადგილური სათესის თითქმის ნახევარი — რესპუბლიკაში 770 ათასი ჰექტარი ამოჩეხერებულია და დაბალი სიხშირის ტყეა, გადაშენებამდე მისულია ათობით სახეობის მცენარე და ნადირ-ფრინველი, რომელთა დაცვასა და გამრავლებას საგულდაგულო ყურადღება სჭირდება.

საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტის 65-ე მუხლი გვიანსრებს: „საქართველოს სსრ მოქალაქენი მოვალენი არიან უფრთხილდებოდნენ ბუნებას, იცავდნენ მას სიმდიდრეებს“.

ეს თითოეული მოქალაქის მორალური ვალია. უმჯობესი ხომ არ იქნებოდა ასეთი მოვალეობა გადაეგზავნებინა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი წარმოებებისა ოა დაწესებულებებზე, რომელთა წარმოებებში ბინძურდება და იწამლება მდინარეები და ტბები, შეჩხერდება ტყეები, ირეცხება ფერდობები. მეცნარეთა მავნებლებთან და დაავადებებთან არასწორი ბრძოლის შედეგად იწამლება ნადირ-თრინველი და გარემო. ალბათ ეს მოვალეობა უნდა დაეკისროთ იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. რომელთა თავზეწინ ხდება ეს. ჩვენ ბუნების შვილები ვართ, ბუნება ჩვენი მარჩენალია, ამდენად მისი დაცვა და გათრთხილება ყველა ჩვენგანის ვალია.

ხომ არ აკობებდა, რომ საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის 65-ე მუხლი ასე ჩამოყალიბებულიყო: „საქართველოს სსრ მოქალაქენი, წარმოება-დაწესებულებები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოვალენი არიან უფრთხილდებოდნენ ბუნებას, იცავდნენ მის სიმდიდრეს“.

ტ. ჩიქოვანი,

ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

საქართველო

ᲓᲦᲔᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲦᲔᲡ

საკადრისი იტყობინება

ᲕᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ

ᲧᲣᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲚᲐᲠᲔ

ᲙᲐᲪᲘᲐᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲧᲕᲠᲘᲚᲛᲐᲜᲘ ᲠᲝᲓᲘᲐ!

ᲧᲣᲠᲓᲘᲡ თემაზე, კაპიტალის პრობლემაზე დიდი სჯა-ბაასი „კომუნისტმა“ ჯერ კიდევ 1974 წლის ზაფხულიდან წამოიწყო. მან მკითხველთა ფართო და ცხოველი გამოხმაურება მოიკა.

მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე თქვა: „...გვინდა მივმართოთ მყიდველს, რომ ზომა-წონასა და ანგარიშში გატყუებენ, ხურდას არ გიბრუნებენ — ნუ გაჩუმდები, ნუ აუვლი გვერდს! ნუ მოეკიდები ამას მშვიდად!“.

ᲥᲐᲗᲐᲛᲐᲨᲘ ხალათში და ჩაჩით გამოწყობილი წელგამართული ქალიშვილი უწის სალაროს აპარატს, წამწამებს რომ არ ახამხამებდეს, მანეკენი, ნამდვილი მანეკენი გეგონებათ, მაგრამ ახამხამებს, მაშასადამე, ცოცხალი ადამიანია. მას გვარად აქვს, ლობჟანიძეა, ცხადია, სახელიც ჰქვია — ნანული; ფუნქციაც ბუღალტერია — მოლარეობა, და რაღა თქმა უნდა, ხელფასსაც იღებს.

ნუ იფიქრებთ, რომ ეს მარტო აქ, თბილისის საკრებნო რაიონის საზოგადოებრივი კვების ტრესტის № 288 გაერთიანების (დირექტორი დ. გვასალია) № 862 ფილიალის სამწვადეშია ასე.

მოლარე და სალაროს აპარატი ახალი ნთელი შტრიხია, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც გაჩნდა დედაქალაქის სასაუზმეების, სახინკლეების, სამწვადეების, ღუდსნაბის და მათი ტიპის ობიექტებისათვის დამახასიათებელ კოლორიტულ სურათზე. ეს უეჭველად ვაჭრობის კულტურის დონის ამაღლებისაკენ წინგადადგმული ნაბიჯია, თავისთავად მისასალმებელი მოვლენაა. მარტო იმ სისუფთავისა და სიწმინდის ასოციაცია რად ღირს, რომელსაც თეირად მიჭამეთ ხალათი იფენაა ადამიანში!

ოღონდ ეს არის, რომ ნანულის სალაროში საერთოდ ფულის ნასახიც ვერ ვნახეთ, რომ იტყვიან ხოლმე, გახვრეტილი უზალთუნიც არ აღმოჩნდა. მოლარე თავს იმართლებდა, სახურდე უჭირა გაგზავნილიაო. ამიტომ მის მაგიერად მუშტრისაგან მიბუღალტერ ო. კველიშვილი იღებდა დანახარჯს, ნანული კი ზის აპარატთან და ასე იხდის მოგალეობას.

კაცმა რომ თქვას, აქ მოლარე ადგილზე მაინც იჯდა, მაგრამ აბა ამ სამწვადიდან ოდნავ მოშორებით, ამავე გიორგიანების № 900 სასოსიხეში შეიხედეთ და ნახავთ, თუ როგორ ობლად, უპატრონოდ არის მიტოვებული აპარატი — ორ კვირაზე მეტია დადგეს და ჯერ არ ჩაუთვიათო. — გვითხრა მიბუღალტერ კ. ბახეთელიძემ. ამიტომ, რა ქნას, თვითონ უსდება მოლარეობა.

ახლა კი რესტორნებისა და კაფეების, საზოგადოებრივი კვების ტრესტების ობიექტებში შევიიხრთ — რა მდგომარეობაა.

რესტორან „კრწანისის“ სამი ოფიციანტიდან, რომლებიც იმ დღეს ემსახურებოდნენ სტუმრებს, დღის 5 საათისათვის მხოლოდ ერთს აღმოჩნდა ერთ მანეთამდე ხურდა (3 — თხუთმეტკაპიანები და 2 — ათკაპიკიანი), სხვებს კი — ო. ჯორჯასლიძესა და ლ. პიშინსკაიას, სრულიად არ ჰქონდათ წვრილი ფული. ლიმიტით დადგენილი თანხის მხოლოდ მეათედი ხურდა აღმოაჩნდა კაფე „ცისკრის“ მოლარე ქ. კვიჟინაძეს.

... დიეტური სასადილოს სალაროში მოლარის მაგიერობას მზარეული ზაურ დვალაძე სწვდა. მოლარეს ბავშვი ავად გაუხდაო, — გვითხრეს. ბრინჯაოს ფული სულ არ იყო სალაროში, ამიტომ მოქალაქეებს შავ ფულს არ უბრუნებდა მზარეული.

ორჯონიკიძის რაიონის საზოგადოებრივი კვების ტრესტის № 138 გაერთიანებაში, რომელშიც ბაეჭავაძის პროსპექტზე მდებარე ეს დიეტური სასადილოც შედის, ჩანს ხურდა ნაკლებ პატივშია, ხელმძღვანელები (დირექტორი ს. ფერაძე) ხმირად არ ამოწმებენ სალაროებს, თორემ თითქმის ასეთივე მდგომარეობა არ იქნებოდა ამ გაერთიანების საჩაიეში, სადაც მოლარე ე. გურგენოვას ლიმიტით დაწესებული 30 მანეთის ნაცვლად, ხუთ მანეთზე ცოტა მეტი ჰქონდა სალაროში.

საზოგადოებრივი კვების ან სხვა სავაჭრო თუ საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებში შექმნილი მდგომარეობა, საჭირო ოდენობის ლიმონთის ფულისა და ყველა კუპიურის მონეტების უქონლობა ან სიმცირე განა თავისთავად არ მეტყველებს, რომ ბევრ ამ საწარმოში არ არის შექმნილი მომმხარებლებთან სრული და სწორი ანგარიშსწორების ყველა პირობა? თავის დროზე, გაზეთ „კომუნისტში“ ხურდის თაობაზე გამოქვეყნებულ წერილებთან დაკავშირებით ვაჭრობის სამინისტროს საჭირო ღონისძიებები დასახა, გამოიცა სპეციალური ბრძანება. სხვათა შორის, მისი ერთ-ერთი პუნქტით, სავსებით სამართლიანად დადგენილია, რომ ხურდა ფულის უქონლობა საცალო ფასების შეგნებულ დაპახინჯებად და ანგარებითი ხასიათის მოქმედებად უნდა შეფასდეს. ასეთ შემთხვევაში, ნათქვამია ბრძანებაში, დამნაშავეთ პირთა მიმართ მიღებულ იქნეს მკაცრი ადმინისტრაციული ზომები.

სამწუხაროდ, როგორც ჩანს, შემმოწმებლები, რომლებიც უნდა აკონტროლებდნენ ამ ბრძანების შესრულებას, მთელი სისრულით არ ასრულებენ მას.

როცა სიტყვა ხურდაზე ჩამოვარდება, ყველა მაშინვე დიდი ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისეულ ერთ ცნობილ ეპიზოდს გაიხსენებს ხოლმე, ვერც ჩვენ ავიცდით ამ ცდუნებას და ერთხელ კიდევ ვაპირებთ მოვაგონოთ მკითხველს იგი, რამდენადაც, ახლა სწორედ სადგურებსა და სადგურის მოლარეებზე გვექნება ლაპარაკი და ამბავიც ხომ მაშინ სადგურში მოხდა.

მაშ ასე. ილია ჭავჭავაძემ რკინიგზის ბილეთი იყიდა. მოლარემ — ხურდა არა მაქვსო, და დიდი მწერალიც დადგა და მოთმინებით უცდიდა, როდის შემოვიდოდა ხურდა. იცადა, იცადა... ბოლოს, ვიღაცამ მოაგონა, ბატონო ჩემო, საცაა მატარებელი გავა და ბილეთი შეიძლება გაგიუქმდეთო. ილია დინჯად მიუბრუნდა იმ კაცს და მოახსენა, სჯობს მატარებელიც წავიდეს და ბილეთიც გამიუქმდეს, ვიდრე ეს მოლარე გაწუწკდეს და სხვის ჯიბეში ხელების ფათურს დაეწვიოსო.

ახლა კი ვნახოთ, რა მდგომარეობაა დღეს ჩვენი რკინიგზის ვაგზლებში, თბილისის ავტო და მეტროს სადგურებში.

ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲝᲗ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲗ.

წითელწყაროში მიმავალია მშენებელმა მუშამ ი. მუსხელიანმა ოთხი ბილეთი აიღო ქალაქის რკინიგზის სადგურის მე-12 სალაროში. ათმანეთიანი მიაწოდა მოლარეს დ. კვანტალიანს, მაგრამ მან ორი შაური მოატყუა, მე-8 სალაროს მოლარე ო. პატარავამ ორ მანეთად ღირებული ლოგინის ორი ბილეთი არ მისცა მოსკოვის მატარებლით მიმავალ მგზავრ ქალებს. შემმოწმებლები რომ არ ჩარეულიყვნენ, ქალები მთელი გზა უქმაგზებოდ დარჩებოდნენ.

ისედაც უკიდურესად მცირე ოდენობით დაწესებული 16 მანეთის ლიმიტის ნაცვლად მე-6 სალაროში ლ. გვაზავას ერთი მანეთის ხურდა ძლივს აღმოაჩნდა, მათ შორის თითქმის არც ერთი ცალი შავი ფული. თვითონ დასაკვეთით, როგორ გაისტუმრებდა მგზავრებს ამ თანხით.

კურიოზიც ხდება. ხურდა თავსაყრელად ჭირდა ბორჯომის პავილიონის მოლარე რ. კარიეშვილს, მაგრამ მანეთიანის დახურდავებაზე უარი უთხრა ნ. შარიფაშვილს, რომელიც კასპში მიდიოდა (ბილეთი 40 კაპიკი ღირდა).

ზოგან წვრილი ფული, მისი ლიმიტი და მარაგი, მარტო კონტროლორებთან თავმოსაწონებლად და მათი თვალის ასახვევად აქვთ გამზადებული. ხურდის არსებობა თვითმაზნად უქცევიათ — ბაქმს და მიხარიაო. — ამით კი უკარგავენ ხურდას ერთ-ერთ მთავარ შინაარსსა და დანიშნულებას — მომხმარებელთან ზუსტ ანგარიშსწორებას.

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲕᲢᲝᲒᲐᲖᲗᲐᲚᲘ. ლამაზად და სუფთად გამოიყურება აქ ყველაფერი. კახეთის მიმართულების სალაროში შეიკვნებაა. ქალები მასლაათობენ. ზოგიერთი მოლარის საქციელზე ჩიგის. მათი სიტყვების დასადასტურებლად შორს წასვლა აღარ გახდა საჭირო. ამ ლაპარაკზე კაბინაში შვიდი მოლარე, გახსნა სარკმელი და, წარმოიდგინეთ, პირველივე მგზავრი მოატყუა. ეს იყო ახმეტის მებოსტნეობა-მებაღეობის საბჭოთა ნეურნეობის მუშა ეკატერინე ბრელაშვილი. მანქანაში თელავამდე 2 მანეთის და 90 კაპიკის მაგიერად სამი მანეთი გამოართვეს. როცა მგზავრებმა ხმა აიმაღლეს, მოლარე აგლაძემ მხოლოდ მაშინ დაუბრუნა პატრონს ფული.

უნებლიედ მოგვაგონდა ერთი წერილი, რომელიც „კომუნისტში“ ხურდის თაობაზე გამოქვეყნებული სტატიების გამო შემოვიდა. ავტორი, ერთი მეცნიერი მუშაკი გვთხოვდა, ვინაობა არ გაგვემჟღავნებინა. აი რას იტყობინებოდა იგი.

ლენინგრადში ვიყავი სამეცნიერო მივლინებით, საღამოს ძეხვისათვის მაღაზიაში შევედი. მოლარემ ჩეკთან ერთად 5 კაპიკი ხურდა დამიდო. ვეუკადრისე. ვითომ ვერ შევნიშნე, თვალი ავარიდე, წამოვედი. მოლარემ მომაძახა, ხურდა თქვენია, წაიღეთო. ისევ მოვიყრუე ყური, ძეხვის რიგში ჩავდექი. მაგრამ, ვინ მოგეშვა: ქალმა მიატოვა სალარო, გაფფრენილი მეცა, ჩამაყოლო ხელი. ხალხი მომწერებია, გავწითლდი, მერჩია, მიწა გამსკდომოდა. დაბრუნა და ვიდრე ის საბედისწერო შაურიანი ჩემივე ხელით არ ამაღებინა, არ დამეხსნა. ამ ამბავს აბა რა დამავიწყებს. ძვირად დამიჯდა ჩვენში გავრცელებული ამპარტავნული ჩვევა — ხურდაზე უარის თქმა.

მეტროს 26 კომისრის სადგური. დახურდავების სალაროში მგზავრმა ორი სამკაპიანი დადო. მოლარე ნ. დეშოვიანამ სამაგიეროდ შაურიანი გაუწოდა. მგზავრმა კაპიკიანიც მოითხოვა. მოლარე გაოცდა, ჩვენ რომ კაპიკიანით არავინ გვამარაგებსო? მას მეორე თანამშრომელი ზ. ნადირაძე გამოექომაგა, ნანა მართალია, არ გვაძლევენ ნახევიერ-ნახევიერ ამბავიც ხომ მაშინ სადგურში მოხდა.

მაშ ასე. ილია ჭავჭავაძემ რკინიგზის ბილეთი იყიდა. მოლარემ — ხურდა არა მაქვსო, და დიდი მწერალიც დადგა და მოთმინებით უცდიდა, როდის შემოვიდოდა ხურდა. იცადა, იცადა... ბოლოს, ვიღაცამ მოაგონა, ბატონო ჩემო, საცაა მატარებელი გავა და ბილეთი შეიძლება გაგიუქმდეთო. ილია დინჯად მიუბრუნდა იმ კაცს და მოახსენა, სჯობს მატარებელიც წავიდეს და ბილეთიც გამიუქმდეს, ვიდრე ეს მოლარე გაწუწკდეს და სხვის ჯიბეში ხელების ფათურს დაეწვიოსო.

ᲐᲛᲐᲦᲔᲚᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲜᲐᲐᲛᲑᲝᲑᲘ ᲓᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲘᲠᲝᲑᲐᲖᲔ

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ „ᲛᲪᲘᲠᲔ ᲛᲘᲬᲘᲡ“ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

სოფია, 3 აპრილი. (საკადრისი). გაზეთ „ოტეჩესტვენ ფრონტის“ დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრი არმიის გენერალი ი. მიხაილოვი დიადი გმირობის ამსახველ ამაღელვებელ ნაამბობს უწოდებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებებს — „მცირე მიწა“, რომელიც ცალკე წიგნად გამოსცა ბულგარულ ენაზე ბულგარეთის კომპარტიის გამომცემლობა „პარტლიტგამმა“.

ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებები ღრმად ჩაგვწვდა გულში, წერს ი. მიხაილოვი. ახლა, როცა კიდევ ერთხელ გადავიკითხე მცირე მიწის დამცველთა 255 დღის ეკაკიური ბრძოლისა და გმირობის ამბავი, კვლავ აღელვება დამეუფლა, პირდაპირ აღტაცებული ვარ ავტორის უნარით — ადამიანურად, სადად, დიდი პოლიტიკური და საძეიერო ერუდიციით, ამასთანავე უბრალო, მაგრამ გულშრფილმედგომი გამომსახველი სიშფოლებებისა და მაგალითების მეშვეობით დაგვიხატოს საბჭოთა ადამიანების გმირობის სიდიადე, რომლებიც თავიანთ სოციალისტურ მამულსა და ცივილიზაციას იცავდნენ კაცთმოძულეობრივი ჰიტლერული ფაშიზმის მიერ ხელყოფისაგან.

განსაკუთრებით დიდია ჩემი აღელვება, წერს შემდეგ ი. მიხაილოვი, ვინაიდან იმ დაუვიწყარ დღეებში, რომლებზეც გვიამბობს ლ. ი. ბრეჟნევი, მე საბჭოთა არმიის რიგებში ვიბრძოდი როგორც კადრის ოფიცერი და თვალს ვადევნებდი მცირე მიწის ბრძოლებს. ისევ და ისევ მაგონდება ათობით, ათასობით ეპიზოდი, რომლებიც ასახავენ საბჭოთა მეომრებისა და ხალხის უმაგალითო გმირობას, ვაჟკაცობასა და შეუპოვრობას ამ უსასტიკეს ომში, როგორსაც კაცობრობა არასდროს მოსწრებია.

ლ. ი. ბრეჟნევის წიგნის უდიდესი ღირსებაა ის, რომ მასში ოგრძნობა სუნთქვა საბჭოთა ხალხის დიდი ბრძოლისა, რომელიც მან მრავალგანადი ლენინური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გადიტანა.

ლ. ი. ბრეჟნევის წიგნს ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ამა თუ სხვა საბჭოთა, არამედ ბულგარეთის სახალხო არმიის მეთაურების, პოლიტმუშაკების და პარტიული ორგანიზაციისათვის, წერს ი. მიხაილოვი, სოციალისტური შენებლობის ყველა ფრონტის პარტიული კადრებისა და საზოგადო მოღვაწეებისათვის, ვინაიდან იგი ეხება მუშაობის ლენინური სტილისა და მეთოდის სწორ გამოყენებას, მაღალ ორგანიზებას და პირად პასუხისმგებლობას პარტიული მუშაობის შინაარსისა და ეფექტიანობისათვის.

ᲤᲝᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲐᲛᲮᲘᲚᲕᲐ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ფართო საზოგადოებრიობის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ მმართველი წრეები ნატოს ხელმძღვანელობის მითითებისაებრ ეგმავენ სამხედრო ბიუჯეტის შემდგომ გადიდებას.

როგორც ამას წინათ თავდაცვის საკითხებზე გამოქვეყნებული მთავრობის „თეთრი წიგნი“ მოწმობს, 1978-80 საფინანსო წლიდან ქვეყნის სამხედრო ხარჯები რეალური გამოანგარიშებით ყოველწლიურად სამი პროცენტით გაიზრდება. უკვე მომავალ საფინანსო წელს სამხედრო ბიუჯეტი მშვიდობიანი დროისათვის რეკორდულ დონეს — 6919 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიაღწევს. ფაქტიურად ეს ხარჯები კიდევ უფრო მეტი იქნება, ვინაიდან თავდაცვის სამინისტროს განკარგულებაშია საზღვარგარეთ იარაღის გაყიდვით და სხვა წყაროებით მიღებული დამატებითი შემოსავალი.

სურათზე: მორიგი სამხედრო მანევრები.

საკადრისი ფოტო.

ᲐᲮᲚᲝ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜ ᲐᲮᲐᲚ ᲓᲐᲗᲘᲛᲝᲒᲔᲑᲡ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 3 აპრილი. (საკადრისი). როგორც იერუსალიმიდან იუწყებიან, ისრაელის მთავრობამ ომსჯელა ეგვიპტე-ისრაელის სპეციალურ მოლაპარაკებაზე შექმნილი სიტუაციის შესახებ. სხდომაზე განიხილეს თავდაცვის მინისტრის ეიტანის ამასწინანდელი კაროს ვიზიტის შედეგები და ამ ტაქტიკის საკითხები, რომელსაც უნდა ადგეს იგი ეგვიპტის დედაქალაქში ახალი ვიზიტის დროს, რომელიც, როგორც გამოაცხადეს, უახლოეს დღეებში მოეწყობა. მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კაიროს მოლაპარაკებაზე „გარკვეული პროგრესია“ მიღწეული, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეგვიპტემ უნდა იფიქროს წინადადებებზე, რომლებიც ისრაელმა შეიტანა პოლიტიკური და სამხედრო კომიტეტების მუშაობის განახლების მიზნით.

ამასთან დაკავშირებით მომმხიანელენი უურადღებას მიაყრობენ იმას, რომ ისრაელის პოზიციაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. ტელ-ავივი კვლავ ჯიუტად უგულებელყოფს ყველა დებულებას, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის დამყარება. მაგალითად, იგი უარს ამბობს მოლიანად გაიყვანოს თავისი ჯარები 1967 წელს ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან, და იმის გაგონებაც კი არ უნდა, რომ დაკმაყოფილოს პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი უფლებები, კერძოდ, მისი თვითგამორკვევისა და საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლება.

ისრაელის ლიდერები აშკარა დიქტატის პოზიციებიდან წარმართავენ დიალოგს ეგვიპტის პრეზიდენტ სადათთან, რომელმაც ბეგინთან სეპარატული გარიგების დადების გულისთვის ისრაელის ექსპანსიის წინააღმდეგ არაბთა საერთო ბრძოლის ინტერესები დათმო. ისინი მოითხოვენ, რომ ეგვიპტემ არსებითად უარი თქვას თავის უფლებაზე ახორციელებდეს სინაის ნახევარკუნძულის სუვერენიტეტს, და დათანხმდეს იქ ისრაელის სამხედრო-საჰაერო ბაზებისა და გასამხედროებული დასახლებების დატოვებას.

ᲐᲚᲬᲘᲠᲕᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲝᲗᲐ ᲡᲝᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ შეთანხმების შესაბამისად საბჭოთა სამხედრო ხომალდების რაზმი კრეისერ „მოსკვას“, საესკადრო ნაღმოსან „სელისა“ და წყალქვეშა ნავის შემადგენლობით კონტრ-ადმირალ ნ. ი. რეაბინსკის სარდლობით 8-13 აპრილის პერიოდში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ეწვევა ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქს, ნავსადგურ ალჟირს.

ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝᲑᲐᲜᲘ

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲨᲕᲘᲓᲦᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 3 აპრილი. (საკადისის კორ.). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა დაამთავრა შვიდღიანი მოგზაურობა ლათინური ამერიკისა და აფრიკის ქვეყნებში, რომლის დროსაც იგი ვიზიტად იყო ვენესუელაში, ბრაზილიაში, ნიგერიასა და ლიბერიაში.

ჯ. კარტერის მოგზაურობა მიმდინარეობდა ისეთ პირობებში, როცა სულ უფრო ძლიერდება გაღვიძარებადი სახელმწიფოების უკმაყოფილება ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის გამო, და მიზნად ისახავდა წამოჭრილ წინააღმდეგობათა მოგვარებას. მიმომხილველთა აზრით, ორივე კონტინენტზე მიმდინარე მოლაპარაკების დროს თავი იჩინა სერიოზულმა ურთიერთგაგებამ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ამ ქვეყნებს შორის, ამასთან ვერ გამონახეს მათი დაახლოების გზები. „ბევრი პრობლემა დარჩა გადასაჭრელი“, — განაცხადა ტელეკომპანია სი-ბი-ესის კომენტატორმა.

როგორც პრესა იუწყება, ვენესუელაში — პირველ ქვეყანაში, რომელსაც ჯ. კარტერი ეწვია, — მას პრეტენზიების დიდი სია წარუდგინეს. ვენესუელის პრეზიდენტმა, წერდა გაზეთი „ბალტიმორ სანი“, გააკრიტიკა მემარჯვენე ძალების ცდები, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში ისწრაფვიან ცალმხრივი წესით გადასინჯონ ამერიკა-პანამის ხელშეკრულებები პანამის არხის შესახებ და ვაშინგტონს არხის ზონაში შეიარაღებული ინტერვენციის უფლება დაუტოვონ. ეს საკითხი დიდად აწუხებს ლათინურ ამერიკას, რომელიც კანონმდებელთა ამ მოქმედებას თავისი სუვერენიტეტის პოტენციურ საფრთხედ მიიჩნევს.

გაზეთ „ვაშინგტონ სტარის“ თქმით, ამერიკის მხარეს აშკარად აგრძნობინეს, რომ შეერთებული შტატები კვლავინდებურად უგულებელყოფს ლათინური ამერიკის სახელმწიფოთა საჭიროებებს, ერევა მათს საშინაო საქმეებში, ექსპლოატაციას უწევს ბუნებრივ რესურსებს და პრაქტიკულად სანაცვლოდ არაფერს იძლევა.

ამერიკელ სტუმარს ბუმერანგად დაუბრუნდა პიროფერული კამპანია, რომელიც ვაშინგტონმა გაიჩაღა „ადამიანის უფლებათა“ დასაცავად. კარაკასში, როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერდა, პრეზიდენტს ამ თემაზე მთელი ლექცია მოასმენინეს. მას, კერძოდ, შეახსენეს, რომ ამერიკა მხარს უჭერს სომოსას უსასტიკეს რეპრესიულ რეჟიმს ნიკარაგუაში.

კიდევ უფრო მეტი გაღიზიანება გამოიწვია ამერიკის მთავრობამ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით ბრაზილიაში, სადაც ჯ. კარტერს უთხრეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები შეუწყნარებლად ეჩვევა სუვერენულ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში. კონფრონტაციის ხასიათი ჰქონდა აგრეთვე სავაჭრო-ეკონომიკური პრობლემების განხილვას. ამის შედეგად, წერს „ვაშინგტონ სტარი“, პრეზიდენტი ბრაზილიიდან ისე წავიდა, რომ „სასიკეთო კვალი ვერ დაუნიშნა ორმხრივ ურთიერთობას“.

ნიგერიაში ჯ. კარტერის მოლაპარაკების მთავარი თემა იყო აფრიკის სამხრეთში შექმნილი სიტუაცია, აგრეთვე როდეზიაში „მოწესრიგების“ ინგლისურ-ამერიკული გეგმის ახალი ვარიანტი, რომლის მეშვეობითაც ცდილობს დასავლეთი შეინარჩუნოს თავისი გავლენა და ინტერესები ამ ქვეყანაში.

მაგრამ პრეზიდენტის ცდები— შეეპირებინა ლაგოსის მხარდაჭერა როდეზიის საკითხში, — მარცხით დამთავრდა. ნიგერია, წერს გაზეთი „ვაშინგტონ სტარი“, აფრიკის სამხრეთში უმრავლესობის მმართველობის მტკიცე მომხრეა და კატეგორიულად უარყოფს ყოველგვარ კომპრომისს. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნიგერიის სახელმწიფოს მეთაური ო. ობასანჯო „აშკარად სკეპტიკურად“ არის განწყობილი ვაშინგტონისა და ლონდონის „დიპლომატობანის“ გამო.

რაც შეეხება სხვა საკითხებს, წერს გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“, მათ განხილვას შეერთებული შტატებისათვის არსებითი არაფერი მოუტანია. ნიგერიის მთავრობამ უარყო ვაშინგტონის ანტიკუბური კამპანია, რომელიც ისწრაფვის ჩირქი მოსცხოს ჰავანის უანგარო დახმარებას აფრიკელი ხალხებისადმი, რომლებიც რეაქციას ებრძვიან. იუწყებიან, რომ ამერიკის მხარე ისწრაფოდა შეეპირებინა ნიგერიის მხარდაჭერა ნავთობის მწარმოებელი სახელმწიფოების, ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მიერ ნავთობის ფასების მომატების ცდებში. მაგრამ ნიგერიამ ამერიკის ეს თხოვნა მიიჩნია შეერთებული შტატების ცდად — ნიგერიის ხელით გატეხოს ამ ორგანიზაციის ერთიანობა.

ᲞᲠᲔᲡᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘᲓᲐᲜ

ᲛᲮᲐᲠᲡ ᲣᲭᲔᲠᲔᲜ ᲮᲣᲜᲢᲐᲡ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 4 აპრილი. (საკადისი). აქ მოდის ცნობები, რომლებიც მოწმობენ, რომ გააქტიურდა ჩილეს სამხედრო-ფაშისტური ხუნტის ეკონომიკური კავშირურთიერთობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან. ჩილეს უურნალ „ერილიას“ დაუფარავი კმაყოფილებით მოჰყავს სტატისტიკური მონაცემები ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის მდგომარეობის შესახებ.

ჩილეს იმპორტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან, წერს ჟურნალი, 1973 წლის 3 მილიონ 400 ათასი დოლარიდან 1977 წლის დამლევისათვის 10 მილიონ დოლარამდე გადიდდა. ჩილეს ექსპორტმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში 1977 წელს ფულადი გამოხატულებით შეადგინა 2,5 მილიონი დოლარი. ეს ხუთჯერ მეტია იმაზე, რაც იყო 1973 წელს სალვადორ ალიენდეს მთავრობის დროს.

ᲣᲗᲐᲜᲮᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 4 აპრილი. (საკადისი). ამერიკის დედაქალაქში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი გ. დ. გენშერი. იგი მოლაპარაკებას გამართავს პრეზიდენტ ჯ. კარტერთან, სახელმწიფო მდივანთან ს. ვენსთან, თავდაცვის მინისტრთან ბ. ბრაუნთან და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სხვა მაღალი თანამდებობის წარმომადგენლებთან.

ადგილობრივი მიმომხილველნი ამ ვიზიტს უკავშირებენ ფრანკფურტთან დაძაბულობასა და უთანხმოებებს ამერიკის შეერთებულ შტატებისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობაში.

დასავლეთის ეკონომიკური კრიზისის, დაძლევის გზებისა და საშუალებების შესახებ ცნობილი უთანხმოებანი ორი მხარის შეხედულებებში კიდევ უფრო გაორმაგდა იმის შედეგად, რომ ვაშინგტონი დაჟინებით ცდილობს დოლარის კურსის დაცვამ გამოიყენოს იმისათვის, რომ ეს შეაწყოს ამერიკის საერთაშორისო კომპანიებს ევროპაში ინვესტიციების ჩადებისაგან.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲧᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲡᲠᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲣᲜᲘᲝᲜᲘ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

● ᲑᲝᲜᲝ. აქ გაიმართა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბონის ორგანიზაციის კონფერენციე. მისმა მონაწილეებმა გაილაშქრეს ამერიკის შეერთებული შტატების გეგმების წინააღმდეგ გაარღვიოს ნეიტრონული იარაღის წარმოება და განალაგოს იგი ნატოს წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე. რეზოლუცია გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბუნდესტაგის ფრაქციისაგან მოითხოვს გადაჭრით გამოვიდეს ვაშინგტონის ამგვარი განზრახვების წინააღმდეგ.

ᲣᲛᲣᲨᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲜᲝᲠᲕᲔᲒᲘᲐᲨᲘ

● ᲝᲡᲚᲝ. ნორვეგიაში იზრდება უმუშევრობა. მთავრობის ხანგრძლივი პროგრამა ითვალისწინებს 10.000 სამუშაო ადგილის შექმნას უახლოეს 3-5 წელიწადში.

სამუშაო ადგილების შემცირება მოხდება უწინარეს ყოვლისა ხიდამუშაკებელ, სამთამადნო, გემთაშენებელ და მეტალურგიულ მრეწველობაში. ამ დარგების მთელი რიგი საწარმოები იძულებული იქნებიან სრულიად შეწყვიტონ წარმოება.

ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

● ᲐᲚᲟᲘᲠᲘ. აქ დამთავრდა მოლაპარაკება ალჟირის მშრომელთა საყოველთაო კავშირისა და პალესტინის პროფკავშირთა ფედერაციის წარმომადგენლებს შორის. გამოქვეყნებულ ერთობლივ კომუნიკეში ალჟირისა და პალესტინის პროფკავშირულ ორგანიზაციებმა მკაცრად დაგმეს ისრაელის აგრესია ლიბანის წინააღმდეგ და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტის ა. სადათის კაპიტულანტური პოლიტიკა.

ᲡᲐᲦᲘᲛᲝᲓ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ

ᲙᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

ᲨᲐᲠᲘᲚᲘ მოსკოვში ჭიამართა დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა ფაშისტური უღლისაგან უნგრეთის განთავისუფლების 33-ე წლისთავს.

პრეზიდიუმში იუწვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, რუსეთის სფსრ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ს. სოლომენცევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. უ. ჩერნენკო და სხვა ოფიციალური პირნი. აქვე იყო უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია.

მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადო

ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲔᲚᲘᲐ 90 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ

ᲛᲐᲠᲘᲔᲢᲐ ᲨᲐᲒᲘᲜᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

ᲤᲝᲡᲢᲐᲚᲘᲝᲜᲔᲑᲘ, რომლებსაც კორესპონდენტიები მიაქვთ მოსკოვში მარიეტა შაგინიანის ბინაში, ახლა ბევრი საქმე აქვთ: ცნობილი მწერალი ქალი ყოველდღე ასობით წერილს იღებს. მას წერენ საბჭოთა და უცხოელი მკითხველები, თანამოკალმენი, მეგობრები, რომლებიც მარიეტა სერგის ასულს ღირსშესანიშნავ თარიღს, დაბადების 90-ე წელს ულოცავენ.

მაგრამ საიუბილეო საქმეების გამო იგი არ არღვევს წესებს, რომელთაც მთელი სიცოცხლე იცავს — ერთ დღეს არ გააცდენს, რომ რაიმე არ დაწეროს. ლილას მარიეტა სერგის ასული საწერ მაგიდას მიუჯდება, კალამს მოიმარჯვებს და წერას იწყებს. წერს ორი-სამი საათი. შემდეგ კითხულობს, უპასუხებს წერილებს, ჩანაწერებს აკეთებს დღიურში, რომელსაც 1915 წლიდან გულმოდგინედ ადგენს.

შაგინიანი მართლაც რომ უნიკალური შრომის უნარითაა დაჯილდოებული: მან თითქმის იმდენი წიგნი დაწერა, რამდენი წელიაცაა. ახლანდელი იუბილე დაემთხვა მეორე სამახსოვრო თარიღს — 75 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა შაგინიანის პირველი ნაწარმოები — ლექსად დაწერილი ფელეტონი „გელენჯიკური მოტივები“.

შაგინიანის შემოქმედება დიდი და მრავალფეროვანია. მისი ლექსების პირველი კრებული ჯერ კიდევ 1909 წელს გამოქვეყნდა. დიდმა ოქტომბერმა ფრთა შეასხა მწერალს. იგი ბევრს მოგზაურობს ქვეყანაში, პრესაში ზედიზედ ქვეყნდება ახალი სოციალისტური სამყაროს მშენებლობისადმი მიძღვნილი მისი ნარკვევები, სტატიები. 1922 წელს გამოიცა შაგინიანის რომანი „ცვლილებადობა“, რომელშიც დონზე სამოქალაქო ომია აღწერილი, ამავე თემას ეხება წიგნი „მაღალი საზოგადოების ქალის ფათერაკები“. უფროსი თაობის ადამიანებს ახსოვთ, რომ ოციან წლებში მცირეფორმატიან გამოცემებად ქვეყნდებოდა „მეს-მენდი“ — პირველი საბჭოთა სათავგადასაელო ანტიფაშისტური რომანი. იგი დიდი ტირაჟით გამოდიოდა ჩვენს ქვეყანასა და უცხოეთში. და მწერალს მსოფლიო აღიარება მოუპოვა.

მ. ლ. შაგინიანი დიდი ხნის წინათ მტკიცედ დაუკავშირდა მუშათა თემას.

1924 წელს მას დაავალეს ლენინგრადის საფეიერო ფაბრიკებზე დაეწერა: შეკვეთა შემთხვევითი არ ყოფილა: შაგინიანმა ჯერ კიდევ რევოლუციამდე დაამთავრა სართავ-საქსოვი კურსები, მიიღო მრთველის პროფესია. მაგრამ მიღებული ცოდნა და გამოცდილება ახალგაზრდა მწერალს საკმაოდ ცოტა არ მიუნევია. მასალებია შესაგროვებლად შაგინიანმა რამდენიმე თვე ფაბრიკებში იმუშავა. შაგინიანის ცხოვრებიაეული პოზიციაა არა მარტო აღწეროს, როგორ იქმნება ახალი ცხოვრება, არამედ თვითონ იყოს ძოგლენათა უშუალო მონაწილე. 1927 წელს სომხეთში მდინარე ძორაგეტზე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა დაიწყო. მწერალ მა დაახლოებით სამი წელი დაჰყო მშენებლობაზე.

— „ჰიდროცენტრალს“ ძალიან ნელა, მაგრამ მაინც რეალური ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე ბევრად უფრო სწრაფად ვწერდი, იგონებს შაგინიანი.

მ. ს. შაგინიანის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლენინის თემას, რომელზე მუშაობაც მან პირველად ჯერ კიდევ 20-იან წლებში დაიწყო.

მწერალი გულდასმით აგროვებს მასალებს ბელადზე. მან ორ წელზე ძეტი გაატარა ვოლგაზე, იყო ქალაქებში, სადაც ულიანოვების ოჯახი ცხოვრობდა. სწავლობდა დოკუმენტებს, არქივებს, ეწვია ლენინურ ადგილებს ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში; ამ გრანდიოზული მასშტაბის მუშაობის ნაყოფია წიგნები ლენინზე: „ვაჟი შვილის დაბადება“ („ულიანოვების ოჯახი“), „სრულიად რუსეთის პირველი“, „ბილეთი ისტორიაში“, „ოთხი ჯაკეთილი ლენინთან“, ამ ნაშრომისთვის მწერალს მაღალი ჯილდო — ლენინური პრემია მიენიჭა.

ყველა, ვინც შაგინიანის შემოქმედებას იცნობს, აშკარად ხედავს მისი ლიტერატურული ინტერესების საოცარ მრავალმხრივობაა. მის კალამს ეკუთვნის გამოკვლევები გოეთეზე, კირილოვზე, შევჩენკოზე, აზერბაიჯანული ლიტერატურის კლასიკოსზე ნიზამიზე, ჰაშეკზე, კარელია-ფინეთის ეპოსზე „კალევალაზე“.

იუბილეს წინ სოციალისტური შრომის გმირმა მარიეტა სერგის ასულმა შაგინიანმა თქვა:

— ვმუშაობ დიდი სიამოვნებით. სიბერე კარგი რამ არის, იგი გვასწავლის განსაკუთრებით დაგფასოთ ის, რაც მშვენიერია ცხოვრებაში. მინდა დავამთავრო მუშაობა მოგონებებზე „ადამიანი და დრო“. ამ ნაწარმოების მეექვსე თავი „ნოვი მირის“ აპრილის ნომერში გამოქვეყნდება. მეშვიდე ახლახან დავამთავრე, თუმცა უკვე სანახევროდ ბრმა ვარ და გამადიდებელი შუშით ვმუშაობ, ხოლო მერვე თავს — ფინალურს მაისში დავამთავრებ.

რ. ᲨᲐᲒᲘᲜᲘᲐᲜᲘ,
საკდესის კორ.

ᲑᲖᲐᲨᲘ ᲐᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ

ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲣᲠ ᲒᲐᲛᲝᲤᲕᲔᲜᲐᲖᲔ

ᲐᲠᲡᲔᲜ ფოჩხუას ორიგინალურმა ნამუშევრებმა დიდი ხანია მიიპყრო ჩვენი საზოგადოებრიობის ყურადღება. მის მიერ ბზაში გამოკვეთილი გიორკელეფური მინიატიურები ითაეერთხელ იყო გამოფენილი რესპუბლიკურ თუ საკავშირო გამოფენებზე.

ამჯერად მხატვარი თავისი პირველი პერსონალური გამოფენით წარდგა დედაქალაქის საზოგადოებრიობის წინაშე. ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში უკვე რამდენიმე დღეა ექსპონირებულია მხატვრის მიერ დიდი გემოვნებით შესრულებული ბზაში ნაკეთი პორტრეტები, ალეგორიული კომპოზიციები, წიგნის ილუსტრაციები, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები — სულ 140 ნამუშევარი.

მნახველს ხიბლავს მხატვრის ფანტაზია, გამომგონებლობა, ავტორი თავის ქმნილებებში უმეტრის სიკეთეს, სილამაზეს, მშვენიერებას, ნაწარმოებები უაღრესად პოეტური და მომხიბლავია.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ

„ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ“ №3

ბევრ საინტერესო და საყურადღებო მასალას გაეცნობა მკითხველი ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ №3 ნომერში, რომელიც ამ დღეებში გამოვიდა.

მხატვარ რუსუდან ჯავრიშვილის შემოქმედებაზე გვესაუბრება თავის წერილში ე. თულაძეული, ა. ბესტავაშვილი სატელევიზიო კინოფილმს „თუმ მეცხვარეს“ განიხილავს, მ. ახმეტელი საქართველოს სიმეშიანი კვარტეტის საზღვარგარეთულ ტურნეზე მოგვითხრობს, ნ. მაჭავარიანი რუსთაველ თეატრის მსახიობის ლეილა შოთაძის შემოქმედებითს პორტრეტს გვთავაზობს, ქართული მუსიკათმცოდნეობის წინაშე მდგომ ამოცანებზე ლაპარაკობს გ. ტორაძე, დ. გოგუა განიხილავს კომპოზიტორ ნიკოლოზ გუდიაშვილის საინსტრუმენტო ნაწარმოებებს, ხოლო ი. ბახტაძე — დავით მაჩაბლის მუსიკალურ ესთეტიკას.

მკითხველი ინტერესით გაეცნობა ი. ყიფიანის, ლ. სოხაძის, ლ. მენაბდის, ბ. შავიშვილის, ბ. ბრეგვაძის საყურადღებო წერილებსა და სტატიებს. ახალ წიგნებს მიმოიხილავენ თავიანთ წერილებში ს. ხუციშვილი (მ. ნიჟარაძე — „ელისაბედ ჩერქეზიშვილი“), ლ. თაბუკაშვილი (ი. მელენტიევის ალბომი „ირაკლი ონიკური“), ქ. ხუციშვილი (გ. ბოჯგუა — „კოტე მარჯანიშვილის დრამატურგია“), ი. აფაქიძე (მ. იაშვილი — „არჩილ კერესელიძე“).

მწერლისა და მთარგმნელის რ. თაბუკაშვილის დაბადების 50-ე წლისთავის გამო ჟურნალი ბეჭდავს მის მიერ თარგმნილ შექსპირის სონეტებს. აქვეა გამოქვეყნებული გ. გორინის პიესა „ბარონ მიუნჰაუზენის ცხოვრება და გარდაცვალება“ (თარგმანი ლ. ღლონტისა).

ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲣᲘᲚᲑᲚᲝ ᲠᲔᲘᲡᲔᲑᲘ

ᲡᲘᲪᲮᲐᲠᲑᲘᲡ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲙᲚᲜᲘ

ᲩᲕᲔᲜ რესპუბლიკის შრომისმოყვარე მეციტრუსეებმა შარშან სარეკორდო მოსავალი მიიღეს და მეათე ხუთწლედის მეორე წლის სოციალისტური ვალდებულებები სანაქებოდ გაანადღეს, ბევრმა რაიონმა ისახელა თავი ციტრუსების უხვი მოსავლით, მათ შორის ქობულეთის რაიონის მეციტრუსეებმაც არნახული შედეგებით დაამთავრეს ციტრუსის კრეფა-გადამუშავების სეზონი.

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ქობულეთის პარტიულმა, საბჭოთა და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ბევრი სასარგებლო ღონისძიება განხორციელეს, რომ ციტრუსების მოცული მოსავალი სახელმწიფოსათვის ჩაებარებინათ. წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად აღიკვეთა ციტრუსოვანთა ნაყოფის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაბაზრებაზე გატანა. მაგრამ, როგორც იტყვიან, თითო მახინჯს რა გამოლევს. აქაც არიან თითო-ოროლა სულმოკლე ადამიანები, რომლებიც ორიოდე გროშისათვის „ემმაკსაც მიჰყიდიან სულს. ჩირქს ცცხებენ რესპუბლიკის, რაიონის, მშობლიური სოფლის ღირსებას.

ნოდარ მამუდის ძე ნოღაიდელი. არის ასეთი კაცი ქობულეთის რაიონის მუსაესტატების სასოფლო საბჭოს ალამბრის კოლმეურნეობაში. როგორც სოფლის თავკაცებმა გვითხრეს, მას თვალი უჭირავს შორეულ ბაზრებზე. მიმდინარე წლის თებერვალში კოლმეურნეობის რწმუნებულთა კრებამ იგი გარიცხა კოლმეურნეობიდან ციტრუსოვანთა ნაყოფის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანისათვის. ჩამოაბრეს მისი წილი მიწის ნაკვეთი. ყველას ეგონა, რომ ეს სასჯელი საკმარისი იქნებოდა მისთვის. მაგრამ, როგორც იტყვიან, არ გათეთრდების ყორანი... მარტის დამდეგს კვლავ დატვირთა მანდარინის ნაყოფით (430 კგ) მსუბუქი მანქანა და გაუდგა თავის ჩვეულ გზას. ქობულეთის რაიონის ფარგლებს კი გასცდა, მაგრამ მახარაძის რაიონის სოფელ ნანტების ტერიტორიაზე დააკავეს შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებმა. მასთან ერთად ამ ეიოტლო რეისში იყო ამავე ალამბრის მეხოვრები აბიდინ სკენდერის ძე ნოღაიდელი, რომელიც ჯერ კიდევ 1976 წელს გაირიცხა კოლმეურნეობიდან ანგარი საქმისხმობისათვის, აბიდინ ნოღაიდელს ამჯერად 550 კილოგრამი მანდარინი მიჰქონდა „ვოლგით“. სპეკულანტები იმდენად გათავხედდნენ, რომ არ დაემორჩილნენ მილიციის მუშაკებს და მიმალვა სცადეს, მაგრამ ამაოდ.

აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი ასეთი ფაქტი. 1974 წლის სექტემბერში ალამბრელებმა მოიწვიეს სოფლის ყრილობა. ყრილობაზე საგანგებო დადგენილება მიიღეს და მიუწოდეს რაიონის მშრომელებს, რომ არც ერთი კილოგრამი ციტრუსის ნაყოფი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არ გატანილიყო. ამის შემდეგ იმდენმა ალამბრელმა დაარღვია ყრილობის დადგენილება, თითებზე არ ჩამოთვლება. ამიტომ სოფლის თავკაცებს უნდა შევნიშნოთ: რა აზრი აქვს მარტო ლამაზ დადგენილებებს და ინიციატივას, თუ სეიფში ჩაკეტავ და არ შეასრულებ! სასოფლო საბჭოს აღმასკომმა (თავმჯდომარე — ლ. ქათამაძე), კოლმეურნეობის გამგეობამ (თავმჯდომარე — ლ. ალაბალაძე), პარტიულმა კომიტეტმა (მდივანი — თ. ტაკიძე) რადიკალური ზომები უნდა განახორციელონ სპეკულანტთა ასალგამვად, რომლებიც არცთუ ისე ცოტანი არიან ამ სოფელში.

მეშრომ რეისების ძე ბლადაძე ქობულეთის რაიონის სოფელ ხუკუნების კოლმეურნეობის წევრია. აჯ თავს არ ენახება მისი ციტრუსის ბაღი, საიდანაც ამ სეზონში 10.075 კილოგრამი ნაყოფი მიჰყიდა სახელმწიფოს და დიდძალი თანხაც მიიღო! ალაფი იყოს! მაგრამ, როგორც ჩანს, იგი ცდუნებამ აიტანა, ფულს დახარდა, ეოსავლის ნაწილი გადამალა და ამ დღეებში საკუთარი მსუბუქი მანქანით მიპქონდა ბაზარზე სპეკულანტურ ფასებში გასასყიდად. მასთან ერთად ციტრუსით დატვირთული საკუთარი მსუბუქი ავტომანქანებით რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სასპეკულაციოდ მიდიოდნენ ხუკუნელები ზურაბ ბაბერმის ძე მიქელაძე და ᲨᲝᲗᲐ ᲡᲣᲚᲔᲘᲛᲐᲜᲘᲡ ძე ᲯᲘᲜᲯᲘᲐᲫᲔ. ისინი მილიციის მუშაკებმა მახარაძის ტერიტორიაზე დააკავეს და უნებართვო ტვირთი საკაბრო ორგანიზაციას ჩაბარეს. მახარაძის რაიმილიციის მუშაკთან კ. ნაკაიძესთან ერთად შევამოწმეთ მათი ცხოვრების პირობები, ყველანი შეძლებულად არიან. განა ლუკმამაურისათვის დაეხეტებიან მორეულ ბაზრებზე? რა თქმა უნდა, არა! ესენი გახლავან ხარბები. ფულით გაეამძარნი. ამიტომ ყველა გზა უნდა დავუხშოთ ამ კარგი აღორძინებული სოფლის შემარცხვენელთა. კოლმეურნეობაში 100-ზე მეტი კომუნისტია, 75 დეპუტატი. ეს ფალავა ამ უკუღმართო ადამიანების სწორ გზაზე დაყენებისათვის.

სოფელ ლეღვას მცხოვრებმა გუნამ რამეზის ძე ზაქარიაძემ 7.268 მანეთზე მეტი თანხის ციტრუსის ნაყოფი ჩაბარა სეზონში სახელმწიფოს, მაგრამ ეს არ იკმარა, გადამალული ციტრუსები შორეულ ბაზარზე მიჰქონდა მანქანით ორმაგ ფასებში გასასყიდად, მაგრამ გზაში დააკავეს. მასთან ერთად დააკავეს აგრეთვე მისიდე მეზობელი შალვა სულეიმანის ძე სეფერთელაძემ, რომელსაც ციტრუსები მიჰქონდა იმისათვის, რომ მამასისხლად გაეყიდა. აქ თავს ვერ იმართლებენ სოფლის ხელმძღვანელები (კოლმეურნეობის თავმჯდომარე — ჯ. ჯობალაძე, სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე — ჯ. ბაუკაძე, პარტიული ორგანიზაციის მდივანი — მ. ირემაძე), რადგან ეს ფაქტები მოწმობენ, რომ სოფელში ჯერეოვან დონეზე არ დგას პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა.

აქ ცალკე აღინიშნოს ღირსია მახარაძის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მუშაკების (განყოფილების უფროსი — ი. სიორიძე, მთავარი სახელმწიფო ავტომინსპექტორი — ს. ხომერიკი) სიფხიზლე. ამ დღეებში მათ ციტრუსით დატვირთული რამდენიმე ავტომანქანა დააკავეს, მომხვეჭელებს რამდენიმე ტონა ციტრუსი ჩამოართვეს და სახელმწიფო ორგანიზაციებს ჩააბარეს.

ბუნებრივად იბადება კითხვა: როგორ მოხდა, რომ ქობულეთის რაიონიდან გამოეპარათ ციტრუსით დატვირთული მანქანები? ქაჯთისა და ჩოლოქის მილიციის საგუშაგოებზე ხომ დღისით და ღამით მორიგეობენ მილიციისა და საზოგადოებრივი ორგანოების წარმომადგენლები?

ბ. ᲩᲮᲐᲘᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ᲤᲔᲯᲑᲣᲠᲗᲘ

ᲓᲦᲔᲡ — ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘ...

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ცნობილია, სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები მონაწილეობას მიიღებს ევროპის ჩემპიონატის მეექვსე შესარჩევი ჯგუფის ტურნირში. ამ ასპარეზობისათვის მზადების პროგრამით საბჭოთა ნაკრებმა თებერვალ-მარტში უკვე გამართა 4 ამხანაგური საერთაშორისო მატჩი. მათგან ორი მოიგო (მაროკოსთან — 3:2 და საფრანგეთთან — 2:1), ერთი ფრედ დაამთავრა (უსპანეთთან — 0:0), ხოლო ერთი წაგო (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებთან — 0:1).

და აი, დღეს საბჭოთა ნაკრები მეხუთე ამხანაგურ შეხვედრას ერევანში გამართავს, ამჯერად ფინეთის ეროვნულ გუნდთან. ამ მატჩში მონაწილეობისათვის საბჭოთა ნაკრების მწვრთნელმა ნ. სიმონიანმა მოიწვია 15 ფეხბურთელი. აი, ისინიც: მეკარეები — ი. დეგტიარიოვი („შახტიორი“) და ა. ნოვიკოვი (ცსკა); მცველები— ს. პრიბოდა, ვ. ᲥᲣᲞᲘᲙᲝᲕᲘ (ორივე — „ტორპედო“), ვ. ᲒᲝᲚᲪᲝᲕᲘ („ზენიტი“) და ა. ᲑᲔᲠᲔᲫᲜᲘ (კიევის „დინამო“); ნახევარმცველები — ლ. ᲑᲔᲠᲘᲐᲫᲔ, ა. კონკოვი, ვ. ᲘᲔᲠᲔᲛᲔᲔᲕᲘ, ვ. ᲙᲝᲚᲝᲢᲝᲕᲘ (ყველანი — კიევის „დინამო“); თავდამსხმელები — დ. ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘ (თბილისის „დინამო“), ო. ᲑᲚᲝᲮᲘᲜᲘ და ვ. ᲑᲔᲚᲡᲝᲜᲝᲕᲘ (ორივე — კიევის „დინამო“), ი. ᲩᲘᲡᲚᲝᲕᲘ (ცსკა), ვ. ᲞᲔᲢᲠᲐᲙᲝᲕᲘ („ლოკომოტივი“).

ᲙᲕᲚᲐᲕ ᲤᲝᲗᲔᲚᲔᲑᲘ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ რესპუბლიკის პირველობის შორიგი, მეექვსე ტურის მატჩები. გთავაზობთ შედეგებს: „სალხინო“ (გეგეჭკორი)-„დუტუჯი“ (ვაჯრელი) — 1:1, ასკ (თბილისი)-„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — 2:2, „ამირანი“ (ოჩამჩირე)-პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — 2:1, „ივერია“ (ხაშური)-„სპარტაკი“ (ცხინვალი) — 2:1, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი)-„სქურა“ (წალენჯიხა) — 2:1, „ეგრისი“ (ცხაკაია)-„კოლხეთი“ (ფოთი) — 0:0, „იბერია“ (ქარელი)-„კოლხეთი“ (ხობი) — 0:1, „ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა)-„ნადიკვარი“ (თელავი) — 3:1, „სპარტაკი“ (თბილისი)-„ჩიხურა “(საჩხერე) — 1:1, „ᲨᲮᲝᲣᲠᲘ“ (გალი)-„მეტალურგი“ (რუსთავი) 3:2, „მაღაროელი“ (ცაგერი)-„მეშახტე“ (ტყიბული) — 1:3.

6 ტურის შემდეგ 11 ქულით გამარჯვებულ ᲙᲚᲐᲕᲘᲜᲓᲘᲐᲠᲘ ᲠᲐᲓ ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲡ ფოთის „კოლხეთი“.

ᲙᲠᲘᲖᲘᲡ

Მ. ᲗᲐᲥᲗᲐᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ — ᲛᲔᲝᲠᲔ

ᲐᲚᲛᲐ-ᲐᲗᲐᲨᲘ დამთავრდა მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირი. აი, გამარჯვებულებიც (წონითი კატეგორიების მიხედვით): ა. ᲢᲣᲠᲘᲐ (რუმინეთი), ა. მიხაილოვი, ფ. ᲞᲐᲙᲘ (ორივე — სსრ კავშირი), ბ. ᲑᲣᲠᲛᲐᲒᲐᲛᲑᲔᲢᲝᲕᲘ (ᲣᲐᲮᲐᲖᲔᲗᲘ), თ. ᲞᲠᲝᲮᲝᲠᲝᲕᲘ (სსრ კავშირი). ა. ᲡᲢᲠᲔᲚᲜᲘᲙᲝᲕᲘ (ᲣᲐᲮᲐᲖᲔᲗᲘ), პ. ᲒᲐᲚᲙᲘᲜᲘ, ხ. ᲯᲐᲑᲠᲐᲘᲚᲝᲕᲘ (ორივე — ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐ ნაკრები), ხ. ᲒᲝᲛᲘᲡᲘ (ᲙᲣᲑᲐ), ი. ᲜᲝᲕᲘᲙᲝᲕᲘ („შრომითი რეზერვების“ ნაკრები) და ა. ᲛᲘᲚᲘᲐᲜᲘ (ᲙᲣᲑᲐ).

აღსანიშნავია, რომ ახლახან თბილისში გამართული სსრ კავშირის ჩემპიონატში გამარჯვებული ა. ხიზანიშვილი (54 კგ) ნახევარფინალში სწორედ ფ. პაკს შეხვდა და მასთან ორთაბრძოლაში დაშავების გამო საპრიზო ადგილისათვის ასპარეზობას გამოუთიშა. უკეთესი შედეგი მოიპოვა სსრ კავშირის წლევანდელი ჩემპიონატის მესამე პრიზიორმა, მ. თაქთაქიშვილმა. მან ნახევარფინალში დაამარცხა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენი შტრასბორგი, მაგრამ ფინალში პროფკავშირთა ნაკრების წევრთან ჯაბრაილოვთან დამარცხდა და მეორე ადგილი დაიკავა.

ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲘ

ᲛᲝᲣᲒᲛᲔ ᲛᲐᲡᲙᲘᲜᲫᲚᲔᲑᲡ

ᲛᲘᲜᲡᲚᲘᲗᲘ, წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის დასკვნითი ტურნირის მესამე დღეს თბილისს „დინამომ“ დაამარცხა ადგილობრივი ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი ანგარიშით 6:5. ამ გამარჯვებით თბილისელებმა სატურნირო ცხრილში ეოთგვარად გაიუმჯობესეს მდგომარეობა. შეჯიბრებას დაუმარცხველად ლიდერობენ მოსკოვის დინამოელები. მათ 16 შესაძლებლიდან 15 ქულა აქვთ. მეორე-მესამე ადგილებს 12-12 ქულით იყოფენ მოსკოვის უნივერსიტეტისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის „ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდები. თბილისის დინამოელებს ჯერჯერობით 6 ქულა აქვთ და ლიდერებს მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან.

ᲙᲐᲠᲘᲒᲘ

ᲓᲘᲠᲘᲡᲡᲐᲮᲡᲝᲕᲐᲠᲘ ᲬᲔᲚᲘ

ᲐᲜᲐᲢᲝᲚᲘ ᲙᲐᲠᲐᲞᲝᲕᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘ



1978 ᲬᲚᲘᲡ უეჭველად ერთ-ერთი ყველაზე ღირსსახსოვარი იქნება მსოფლიოს ჩემპიონის ანატოლი კარპოვის ცხოვრებაში: ამას წინათ მან დამაჯერებლად ითამაშა დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირზე იუგოსლავიის ქალაქ ბუგოინოში, სადაც 1-2 ადგილები მიიღო მსოფლიოს ექსჩემპიონ ბორის სპასკისთან ერთად; ცოტა ხნით ადრე წარმატებით დაიცვა სადიპლომო შრომა ლენინგრადის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე; ძას ზედიზედ მეხუთედ მიენიჭა „ᲯᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲝᲡᲙᲐᲠᲘ“ როგორც 1977 წლის საუკეთესო მოჭადრაკე.

როცა ამ რამდენიმე წლის წინათ ანატოლი კარპოვს ჰკითხეს — რატომ გადაწყვიტე ეკონომიკის ფაკულტეტზე სწავლა და როგორ უკავშირდება ეს არჩევანი ჭადრაკსო, დიდოსტატმა უპასუხა:

— ისიც და საქმიანობის ეს დარგიც მკაცრ ლოგიკურობას მოითხოვს — ამაშია სწორედ ეკონომიკისა და ჭადრაკის ძირითადი მსგავსება. მათ შორის საერთო ის არის, რომ ორივე ოპტიმალური გადაწყვეტილების მონახვას საჭიროებს.

სადიპლომო ნაშრომის შინაარსმა და მისი ავტორის პასუხებმა დაცვის დროს დასაბუთეს ეს მოსაზრება. დიპლომის თემა იყო: „თავისუფალი დრო და მისი ეკონომიკური მნიშვნელობა სოციალიზმის პირობებში“. ერთ თავში ლაპარაკია თავისუფალი დროის გადიდების გზებზე, მეორეში — მის რაც შეიძლება რაციონალურად გამოყენებაზე. ოპონენტის ერთგვარაც მოულოდნელ შეკითხვაზე, თუ როგორ წყვეტს თვითონ დიდოსტატი ყოველდღიურ ცხოვრებაში მსგავს პრობლემებს, კარპოვმა უპასუხა:

— რამდენადაც პირადად მე მიძნელდება საკუთარი თავისუფალი დროის გაზრდა, ამდენად ვცდილობ, რაც შეიძლება რაციონალურად გამოვიყენოთ იგი.

დაცვამ განსაკუთრებული წარმატებით ჩაიარა და მსოფლიოს ჩემპიონის სადიპლომო ნამუშევარმა (ისევე, როგორც საერთოდ გამოცდებზე მისი პასუხების დიდმა უმრავლესობამ) ფრიადი შეფასება დაიმსახურა. „ხუთიანი“ იყო სწორედ, როგორც ზემოთ ვთქვით, ის ციფრიც, რომლითაც გამოიხატება პატარა ვერცხლის ქანდაკიც, ყოველწლიურად რომ ანიჭებენ მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკეებს. ადრე „ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲝᲡᲙᲐᲠᲘ“ ფლობდნენ: ბენტ ლარსენი (დანია) — 1967 წელს, ბორის სპასკი (სსრ კავშირი) — 1968 და 1969 წლებში, რობერტ ფიშერი (აშშ) — 1970, 1971 და 1972 წლებში. ამ ფრიად სოლიდურ ფონზე ანატოლი კარპოვის უნიკალური რეკორდი, 1973 წლიდან 1977 წლის ჩათვლით, განსაკუთრებით მნიშვნელოვნად დამოსჩანს. ახალგაზრდა ლენინგრადელმა „ოსკარი“ მოიპოვა ჯერ კიდევ საჭადრაკო ოლიმპისაკენ მიმავალ გზაზე და თავის წინამორბედებისაგან განსხვავებით პრიზს ფლობს ჩემპიონობის წლებშიც. მიმდინარე წლის 16 იანვარს ფილიპინების ქალაქ ბაგიოში დაიწყება კარპოვის პაექრობა ვიქტორ კორჩნოისთან. მე ვესწრებოდი პრეტენდენტთა ფინალურ ორთაბრძოლას და თვალნათლივ დავრწმუნდი, თუ როგორ ნერვიულ დაძაბულობას, ზოგჯერ შეგნებულად დაც, ჰქმნიდა კორჩნოი ჭადრაკის დაფასთან. მსოფლიოს პირველობის მატჩი, სავსებით შესაძლებელია, შეიძლება კიდევ უფრო დაძაბულ ფსიქოლოგიურ ვითარებაში წარმართოს. ყოველ შემთხვევაში, ჩემპიონის მომავალი მეტოქე თვითონ გულმოდგინედ, ხახასმით ლაპარაკობს ამაზე. კარპოვი კი მშვიდად არის — კარგა მაგარ საჭადრაკო ძალას რომ ფლობს, რომელსაც სავსებით შეუძლია დაეყრდნოს, იგი, მაინც, ჩვეულებისამებრ, იოლას გადის საომარი მუქარების გარშემეც. ფიდეს უკანასკნელ კონგრესზე ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის ბიუროს წევრმა ედმონდსონმა (აშშ) ტყუილად კი არ უწოდა ანატოლი კარპოვს ნამდვილი ჩემპიონი და ᲭᲔᲛᲐᲠᲘᲢᲘ ᲯᲔᲚᲢᲚᲛᲔᲜᲘ.

კარაკასში იმავე კონგრესზე, როგორც ცნობილია, დაამტკიცეს მსოფლიო პირველობაზე მატჩის ახალი რეგლამენტი. შეჯიბრება გაგრძელდება ერთ-ერთი მონაწილის ექვს გამარჯვებამდე პარტიების რიცხვის შეუზღუდველად.

თავისი ძალების რწმენა და სიმშვიდე სრულიადაც არ უშლის ხელს, პირიქით, ხელს უწყობს კიდეც კარპოვის მიზანდასახულ მზადებას ხანგრძლივი მატჩისათვის. ჩემპიონი სრულყოფს არა მარტო საჭადრაკო ოსტატობას, არამედ ყოველდღიურად ზრუნავს სპორტული ფორმის შენარჩუნებაზე: მისი ფიზიკური კონდიციები სულ უფრო უმჯობესდება. იგი თამაშობს კალათბურთსა და ბადმინტონს, დადის თხილამურებით. გასაკუთრებით თვალსაჩინოა კარპოვის წარმატებები ცურვაში. მისი ამხანაგი, დიდოსტატი ბალაშოვი, რომელმაც ფიზკულტურის ინსტიტუტის საჭადრაკო განყოფილება დაამთავრა, ამტკიცებს: „ანატოლი უეჭველად ჩაებარებდა სპორტულ დისციპლინებს ჩვენს ინსტიტუტშიო“.

სანამ მსოფლიოს ჩემპიონი თავისი ტატფილის დაცვას შეუდგებოდეს, ახალი, „ᲢᲐᲮᲢᲘᲡ“ მომავალი მაძიებლები უკვე ჩაებნენ ზონალურ ტურნირებში. ამ ტურნირის გამარჯვებულნი უეჭველად შევლენ სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდის კანდიდატთა სიაში.

ᲐᲚ. ᲠᲝᲨᲐᲚᲘ,
სსრ კავშირის სპორტის ოსტატი.

„ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲘ“

ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐ ᲓᲐᲜ ᲨᲔᲠᲜᲘᲜᲒᲚᲘᲡᲐᲨᲘ

ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐ ერთ-ერთი საკმაოდ კარგი საჭადრაკო ტრადიციების ქალაქია რესპუბლიკაში. მნიშვნელოვანია ცხაკაიელთა დამსახურება კომპოზიციის პოპულარიზაციის საქმეში.

1976 წელს, მაგალითად, ჩატარდა საკავშირო კონკურსი ეტიუდების შედგენაში, რომელმაც ბევრი მაღალი კლასის შემდგენელი მიიზიდა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან.

გთავაზობთ ამ საინტერესო შეჯიბრების ეიურის (დნეპროპეტროვსკელი საერთაშორისო არბიტრი ფ. ბონდარენკო, თბილისელი საკავშირო კატეგორიის მსაჯი ვ. ნეიმე, ცხაკაიელი მსაჯი-ორგანიზატორი ო. თვალთვაძე), მიერ შეჯამებულ საპოლო შედეგებს (საყურადღებოა, რომ ამ კონკურსის სრული ანგარიში თავის დროზე გამოქვეყნდა ინგლისის სპეციალურ საეტიუდო ჟურნალ